გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№12 (1554) 21 — 27 აპრილი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ნაცმოძრაობა“ მიშელის ახალ დოკუმენტს ხელს ერთ თვეში მოაწერს (?)



პოლიტიკური კომედიის კულუარული დეტალები

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ბაგრატიონმა, დაცული სტრატეგიული ობიექტები მოინახულა და რეგიონებში სამუშაო შეხვედრები გამართა

მოსამართლე ქალის გვამი მტკვარში იპოვეს

ვინ დაგეგმა მკვლელობა და რატომ ვერ დასაჯეს დამნაშავე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რატომ გაძვირდა ზეთი – იმპორტიორთა საბოტაჟი თუ „დამპლური თამაშები“

„ვერსიის“ ექსპერიმენტი – რა ღირს 1 ლიტრი ზეთი ევროპასა და აშშ-ში

ლადო კახაძე: „ეს სუფთა წყლის სპეკულაცია იყო“

რა იცის მოსალოდნელ „ლოქდაუნზე“ და რატომ თვლის ოპოზიციას მერყევად უმრავლესობის წევრი

დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილი არის ადამიანი, რომელსაც სურს რევანში!“

„კარგია, რომ შეთანხმება შედგა და ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი პარლამენტში შევა“

არგუმენტები, რის გამოც გია ბარამიძე პარლამენტში შესვლის სააკაშვილისეულ მოწოდებას არ იზიარებს

„პატიოსნები უნდა ვიყოთ და ჩვენი პოზიცია საჯაროდ გამოვხატოთ“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის ახალ დოკუმენტზე – „საქართველოს წინსვლის გზა“ ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო და ლეიბორისტური პარტია ხელს არ აწერენ. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა თანაპარტიელებს მოუწოდა, ნიკა მელიას გათავისუფლების შემთხვევაში, დოკუმენტს ხელი მოაწერონ, პარტიაში პოზიციები რადიკალურად განსხვავებულია. პარლამენტში შესვლისა და დოკუმენტზე ხელმოწერის კატეგორიული წინააღმდეგია ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი, გია ბარამიძე, რომელმაც სოციალურ ქსელში დაწერა:

„ყველამ იცის ჩემი და მიშას ძმაკაცობაც და ჩემი მისდამი, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შემქმნელის მიმართ, უღრმესი პატივისცემა და პირადად მის მიმართ და ჩვენი ერთად გაკეთებული საქმისადმი ერთგულების შესახებ. ეს უცვლელი იყო და დარჩება.

მიშას იმიტომაც (სხვა უამრავი კარგი თვისებისა და დამსახურების გარდა) ვცემ პატივს, რომ (მიუხედავად დამკვიდრებული აზრისა, რომ ის ერთპიროვნული მმართველია და სხვის აზრს არ ისმენს) იგი ყოველთვის არა მარტო ისმენდა, არამედ, პატივისცემით ეპყრობოდა და ითვალისწინებდა თანამებრძოლების აზრს... დღეს მიშამ ენმ-ს მოგვიწოდა, თუ „ქოცები“ ნიკა მელიას (ნამდვილად გმირულად მებრძოლ თავმჯდომარეს) ყოველგვარი პირობების გარეშე გამოუშვებენ, ასეთ შემთხვევაში, განვიხილოთ შეთანხმების დოკუმენტზე ხელის მოწერა. მინდა, ვთქვა, რომ ისეთ პირობებში, როცა ვადამდელი არჩევნების დანიშვნის (რაც თავისთავად უმნიშვნელოვანესი ამბავია) მიბმა „ქოცების“ 43 პროცენტიან რეზულტატზე, სრულიად გაუგებარი და ალოგიკურია. თამარ ჟვანიას და არსებული („ქოცებით“ გაძეძგილი) ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების პირობებში, არჩევნების რეზულტატების პატიოსნად დათვლის იმედი როგორ უნდა გვქონდეს?

20 ივნისის დროს, გავრილოვების ბანდის მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულის ამინისტიის მხარდაჭერა მკრეხელობად მიმაჩნია. ამ და კიდევ სხვა მიზეზების გამო, მინდა, საჯაროდ ვთქვა, რომ როცა (ჩვენი საამაყო თავმჯდომარე) ნიკა მელია გამოვა და ენმ-ის პოლიტიკური საბჭო შეიკრიბება, წინასწარ საჯაროდ ვამბობ, ჩემი პოზიცია იქნება, რომ ამ საკითხების მოუგვარებლობის გამო, ბოლომდე პრინციპული პოზიცია უნდა დავიჭიროთ (გინდაც მთელი საქოცეთი, სხვა პარტიები და მეგობრების უდიდესი ნაწილი სხვა რამეს გვეუბნებოდნენ) და ბოლომდე გავატაროთ ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც აქამდე გვეჭირა, გავაგრძელოთ მშვიდობიანი, არაძალადობრივი ბრძოლა პუტინისტური, მოღალატური და კორუმპირებული რეჟიმის წინააღმდეგ და სრულიად დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობა ჩვენს ამ თანმიმდევრულ, პრინციპულ და მყარ პოზიციას შესაბამისად დააფასებს და ჩვენ დაგვიჭერს მხარს, (მათ შორის, თუ მოგვიანებით, ადგილობრივ არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას) და საბოლოოდ, აუცილებლად გავიმარჯვებთ“. „ვერსია“ გია ბარამიძეს ესაუბრა:

– სააკაშვილი ნამდვილად ის ადამიანია, რომელიც თანამოაზრეების აზრს ყოველთვის ითვალისწინებს და ყურადღებით ეკიდება. როცა ნიკა გამოვა და ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭო შეიკრიბება, რადგან არ არის ის საკითხები მოგვარებული, რაც პოსტში მიწერია, ამის გამო არსებულ ვითარებაში, ასეთი პირობებით, პარლამენტში შესვლა არ შეიძლება.

– ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ ეთანხმება მიხეილ სააკაშვილს და ზოგადად, თქვენს პარტიაში ამ საკითხზე პოზიციები რადიკალურად გაიყო. მაინც, რა მოლოდინი გაქვთ, უმრავლესობა რა გადაწყვეტილებას მიიღებს?

– მსჯელობა მიდის და ძალიან მნიშვნელოვანია, მოვლენები როგორ განვითარდება. ნიკა რომ გამოვა, შეიკრიბება პარტია და ყველა ერთად ვიმსჯელებთ, ამაში ჩართული იქნება მიხეილ სააკაშვილი, ნიკა მელია და თითოეული ჩვენგანი.

– ისე, სალომე სამადაშვილი, თქვენც და თქვენმა თანაგუნდელებმაც მწვავედ გააკრიტიკეთ დოკუმენტზე ხელმოწერის გამო და შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმაც ზუსტად იგივე მოგიწოდათ. აბა, რატომღა აკრიტიკებდით სამადაშვილს?

– რა პოზიციაზეც ვიყავი, დღესაც იმავეს ვფიქრობ და რატომაც ვაკრიტიკებდი სალომეს, სწორედ იმიტომ არ ვეთანხმები დღეს პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილებას. კომპრომისი, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ეს იმდენად მიუღებელი კომპრომისია, რომ აზრს აკარგვინებს ჩვენს პარლამენტში შესვლას. ფასს უკარგავს ჩვენს ბრძოლას, რისთვისაც აქამდე ვიბრძოდით. იმას კი არ ვამბობ, რომ ვინმეზე მეტად პრინციპული, პატრიოტი ან ჭკვიანი ვარ, ჩემი ხედვა მაქვს და ყველას მოსაზრებას პატივს ვცემ. სალომე სამადაშვილმა მანამდე მოაწერა ხელი, სანამ გუნდი მიიღებდა გადაწყვეტილებას. ჩათვალა, რომ არ აინტერესებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს გუნდი. გამოეყო და გუნდისგან მოწყვეტილად გადადგა ეს ნაბიჯი. შეიძლება, რაღაცას არ ვეთანხმებოდე, მაგრამ გუნდი თუ იმსჯელებს და გადაწყვეტილებას მიიღებს, ყველანი ერთ პოზიციაზე ვდგებით. ესაა გუნდურობა, თორემ ყოველთვის ყველა ერთ აზრზე ვერ იქნება. არის მსჯელობა, კამათი და ვიღაც ყოველთვის რჩება უმცირესობაში. თუ ისინი პარტიიდან გავიდნენ და თავისებური მოქმედება დაიწყეს, ეს პარტია კი არა, მსჯელობის მოყვარულთა კლუბი ყოფილა. ჩვეულებრივი ამბავია, რომ მსჯელობის შედეგად, გარკვეული რაოდენობა უმცირესობაში რჩება, მაგრამ პარტია იმიტომაა, რომ მაინც გუნდურად და ერთიანად მოქმედებ, დემოკრატიული მმართველობის პრინციპიდან გამომდინარე. ეს რომ „დააიგნორა“ სალომემ და არ ჩათვალა მიზანშეწონილად, გუნდისთვის მოესმინა, ეს გახდა კრიტიკის საფუძველი და არა – ის, რომ განსხვავებული პოზიცია ჰქონდა.

– პარტიის უმრავლესობამ რომ ამ დოკუმენტზე ხელმოწერა გადაწყვეტოს, ამას თქვენც გაიზიარებთ?

– დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ პოზიცია ღიად მაქვს დაფიქსირებული და თუ ვიქნები უმცირესობაში, ვიქნები. ისეთი ვითარებაა, რომ ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს, პატიოსნები უნდა ვიყოთ და ჩვენი პოზიცია საჯაროდ გამოვხატოთ. პარტიულობა, თანამეგობრობა ისაა, რომ ვიმოქმედოთ იმის მიხედვით, როგორი გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული.

– ბატონო გია, ამ დოკუმენტს ხელი თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელმა, გრიგოლ ვაშაძემაც მოაწერა. ამას როგორ აფასებთ?

– იგივე შეფასება მაქვს, რაც ქალბატონ სალომე სამადაშვილთან მიმართებაში.

– ანუ, გრიგოლ ვაშაძე არასწორად მოიქცა?

– რა თქმა უნდა, გუნდს არ აქვს ჯერ გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა მან გუნდი დიდი ხანია, დატოვა.

– ისე, ვაშაძე თავიდან მოლაპარაკებებში ჩართული იყო...

– არ იყო, აკო მინაშვილი და სალომე სამადაშვილი იყვნენ ჩვენი პარტიიდან ჩართულები.

– ბატონო გია, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ არჩევნებამდე საქართველოში ჩამოვა, თუმცა ეს სხვა დროსაც უთქვამს, მაგრამ არ შეუსრულებია. ახლა მართლა ჩამოვა?

– მიშას არასდროს უთქვამს, ზუსტად როდის ჩამოვიდოდა. ის ამბობდა, მინდა ჩამოვიდე, ჩამოვალო, მაგრამ დროს არასდროს აკონკრეტებდა. ახლა თქვა, რომ ადგილობრივ არჩევნებამდე აუცილებლად ჩამოვა, თუნდაც ეს სიცოცხლისა და თავისუფლების ფასად დაუჯდეს. ზუსტად ვიცი, სიმართლეს ლაპარაკობს და უღრმეს პატივისცემას იწვევს მისი ეს ნაბიჯი.

– მისი ჩამოსვლით, თქვენს პარტიაში რა შეიცვლება?

– ჩვენს პარტიას მოემატება მთავარი ლიდერი და ჩაუდგება სათავეში ჩვენს მშვიდობიან ბრძოლას გავრილოვების პუტინისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

– თუმცა, პარტიას უკვე ჰყავს არჩეული თავმჯდომარე...

– კი, რა თქმა უნდა. არავინ უარყოფს, რომ თავმჯდომარე გვყავს არჩეული იმ პირობებში, როცა მიხეილ სააკაშვილი იძულებით ემიგრაციაშია, მაგრამ ნიკას ნამდვილად არ ეწყინება, ამ პარტიის მთავარი ლიდერი რომ არის მისი დამფუძნებელი, მიხეილ სააკაშვილი. ეს, მგონი, ეჭვს არავისში იწვევს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, მიშას ლიდერობა და ეს შეფასება, რასაც ვაძლევ, ნამდვილად არ ნიშნავს, რომ მიშას პრეტენზია ან ისეთი დამოკიდებულება ჰქონდეს, რასაც ვიტყვი, მაინცდაიმაინც ასე უნდა იყოსო. დღესაც დაფიქსირებული ჩემი განსხვავებული მოსაზრება, ამის დასტურია.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ბაგრატიონმა, დაცული სტრატეგიული ობიექტები მოინახულა და რეგიონებში სამუშაო შეხვედრები გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გიორგი ბაგრატიონმა, იმერეთი-გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონალურ სამმართველოებში სამუშაო თათბირები გამართა.

გიორგი ბაგრატიონმა რეგიონური სამმართველოების ხელმძღვანელებთან, მიმდინარე და სამომავლო პროექტები განიხილა და თანამშრომლებს შესაბამისი დავალებები მისცა.

სამუშაო თათბირების შემდეგ, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ფოთის პორტი, ბათუმის ბულვარი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი და რეგიონში არსებული დაცვის პოლიციის მიერ დაცული სხვა სტრატეგიული ობიექტები მოინახულა.

„ნაცმოძრაობა“ მიშელის ახალ დოკუმენტს ხელს ერთ თვეში მოაწერს (?)

პოლიტიკური კომედიის კულუარული დეტალები

ნინო დოლიძე

მაშ, ასე: კომედია დამთავრდა, თუმცა არ მოიწყინოთ – ხანმოკლე პაუზის შემდეგ, წარმოდგენის მეორე ნაწილი დაიწყება. ეს კი იმას ნიშავს, რომ სანახაობა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ მოგვაკლდება და მშიერ მუცელსაც ამოვიყორავთ. ისე, დღევანდელი გადასახედიდან, მართლაც, ლოგიკურია კითხვა – თუ ერთმანეთის მიყოლებით აპირებდნენ პარლამენტში შესვლას, აბა, ლამის ექვსი თვის განმავლობაში, ეს ოპოზიციონერები რას აპროტესტებდნენ? ახლა გაიძახიან, ეს გადაწყვეტლება ქვეყნისთვისაა კარგიო. კეთილი, მაგრამ თქვე მამაცხონებულებო, აქამდე ქვეყანა ფეზე გეკიდათ და მხოლოდ მიშელის ახალი დოკუმენტის შემდეგ გაგახსენდათ პატრიოტიზმი?

ზოგადად, ბოლო წლებში, პატრიოტიზმი ძალიან თუ არა, ზომიერად გაცვდა. ისედაც, პატრიოტიზმი ხომ ავანტიურისტების ყველაზე კარგი ნიღაბია. ჩვენი პოლიტიკური სპექტრი კი ავანტიურისტების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. შესაბამისად, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ის, რაც რამდენიმე დღის წინ, ჩვენს თვალწინ მოხდა, მორიგი პოლიტიკური ავანტიურაა და მეტი არაფერი.

ვინ მოიგო და ვინ წააგო ამ ავანტიურით? – თუ მოვლენებს გავაშიშვლებთ, მარტივად მივხვდებით, რომ წაგებული დარჩა ნაციონალური მოძრაობა და ასევე, ევროპული საქართველოც, რადგან მათ გარდა, პარლამენტში შესვლას თითქმის ყველა ოპოზიციური ძალა აპირებს. აქვე, აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე, „ნაცების“ მსგავსად, უარს „ლეიბორისტების“ ლიდერიც ამბობს.

ისე, მთელ ამ ვაკჰანალიაში, ყველაზე „მაზალო“ ისაა, რომ მიშელის ახალ დოკუმენტს განსაკურებულად ისეთი პოლიტიკოსებიც გმობენ, რომლებმაც სარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს. აი, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე რას აპროტესტებს, ვინმემ გაიგო? – მიშელის ახალი დოკუმენტით, თუ დოკუმენტის გარეშე, ის პარლამენტში მაინც ვერ შედიოდა. ჰოდა, ახლა ცოტა კომიკურია, რომ ბარიერგადაულახავები გაიძახიან, პარლამენტში შესვლა არ შეიძლება, ეს „ოცნების“ წისქვილზე წყლის დასხმაო.

წყალი და წისქვილი იქით იყოს და, თუ „ნაცმოძრაობა“ მიხვდება, რომ მთელი ამ პოლიტიკური კრიზისიდან წაგებული მხოლოდ თვითონ დარჩა, მაშინ, შესაძლოა, ტაქტიკაც შეცვალოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიშელის ახალ დოკუმენტზე ხელმოწერის განაწყვეტილება მიიღოს და პარლამენტშიც შევიდეს.

სხვათა შორის, კულუარებში ამბობენ, რომ ყოფილი მმართველი პარტია მიშელის ახალ დოკუმენტზე ხელმოწერის გადაწყვეტილებას ერთ თვეში მიიღებს...

სხვათა შორის, ეს „დირექტივა“ ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა უკვე გასცა.

„მთელი ეს დღეები, ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ მოპარული არჩევნების შედეგები გაუქმდეს და საქართველოში ახალი არჩევნები ჩატარდეს – ხელისუფლება კანონიერი, მშვიდობიანი გზით შეიცვალოს და განიმუხტოს უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი და ის სიტუაცია, როდესაც ჩვენი ხალხი არის უმძიმეს გაჭირვებაში ნეპოტიზმის, კორუფციის, უმექმედობის, უუნარობის და პირდაპირი ძარცვის შედეგად.

ჩვენ მივაღწიეთ, რომ ეს თვეები, ოპოზიცია ინარჩუნებდა ერთიანობას. მივაღწიეთ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობას და ძალიან მადლობელი ვარ ამერიკელების და ევროპელების, რომ მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი პრობლემები და აქტიური მონაწილეები არიან ამ პროცესის.

ასევე, მივესალმები შარლ მიშელის განსაკუთრებულ როლს. ის დოკუმენტი, რომელიც გუშინ დაიდო, შეიცავს ძალიან ბევრ ხარვეზს და, რა თქმა უნდა, ძალიან შორს არის იმისგან, რაც ბოლომდე გადაწყვეტდა კრიზისს, მაგრამ იქ არის ორი მთავარი რამ – პირადად ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი პარტიის გმირული თავმჯდომარე, ნიკა მელია უნდა გამოვიდეს საპატიმროდან ისევე, როგორც გიორგი რურუა, ისევე, როგორც პოლიტპატიმრების ნაწილის მიმართ უნდა შეწყდეს პოლიტიკური დევნა და ეს უნდა მოხდეს უპირობოდ. ნიკა მელიამ უნდა დატოვოს საპატიმრო, ყოველგვარი დამამცირებელი პირობების, ყოველგვარი გაუგებარი გირაოს გარეშე იმიტომ, რომ ის იქ იმყოფება უკანონოდ და უდანაშაულოდ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის ამ პირობებით დატოვებს საპატიმროს, მოვუწოდებ „ნაციონალურ მოძრაობას“, ხელი მოვაწეროთ ამ შეთანხმებას იმიტომ, რომ ამ შეთანხმებაში არის მთავარი მეორე პუნქტი – შემოდგომაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად, პრაქტიკულად, დაინიშნა რეფერენდუმი „ქართული ოცნების“, ესე იგი, ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორების თაობაზე“, – განაცხადა სააკაშვილმა 20 აპრილს, „ფეისბუქლაივში“.

თუ „ნაცმოძრაობა“ არ მოაწერს მიშელის ახალ დოკუმენტს ხელს, რა მოხდება? – იმის ალბათობა, რომ ექსმმართველი გუნდი დაიშალოს, დიდია. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, ცნობილია, რომ დოკუმენტს ხელი მოაწერა და პოლიტიკურ საქმიანობას დამოუკიდებლად აგრძელებს სალომე სამადაშვილი.

„ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, რომელიც 8 წლის მანძილზე, ხელმძღვანელობდა ევროკავშირში საქართველოს მისიას, პოლიტიკოსისთვის, რომლისთვისაც მთავარ მიზანს ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური მომავალის დაცვა და უზრუნველყოფა წარმოადგენს, გადამწყვეტი ფაქტორი ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმისას არის, ემსახურება თუ არა ეს ნაბიჯი აღნიშნულ მიზანს.

არის თუ არა შეთანხმება, რომელსაც გუშინ ხელი მოაწერეს ოპოზიციურმა პარტიებმა, ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი? ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მოლაპარაკებების გრძელ და რთულ პროცესში, ჩვენ მივედით დასკვნით ფაზასთან ანუ შემოთავაზებული დოკუმენტი იყო საბოლოო ვერსია, რომელიც ცვლილებას არ ექვემდებარებოდა. ამ პროცესში, მათ შორის ჩემი აქტიური მონაწილეობით, ვფიქრობ, რომ მივაღწიეთ მაქსიმუმს – პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების გარანტიას, ვადამდელი არჩევნების ჩატარების ფორმულას და საარჩევნო სისტემის რეფორმას, რომელიც, შესაძლოა, არაა იდეალური, მაგრამ არის უკიდურესად მნიშვნელოვანი გარანტია, რომ მომავალი არჩევნები ვერ და არ ჩატარდება ისე, როგორც უკანასკნელი.

მიმაჩნდა რა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტზე ხელმოწერა არის უკიდურესად მნიშვნელოვანი, ჩემი თხოვნით, ენმ-მა მოიწვია პოლიტიკური საბჭოს სხდომა. აღნიშნულ სხდომაზე გამოიკვეთა შემდგომი – მიუხედავად შეთანხმების შინაარსისა, ენმ-მა ხელი არ უნდა მოაწეროს დოკუმენტს, სანამ მელიას არ გაათავისუფლებენ.

პოლიტიკურ საბჭოს გავაცანი ჩემი არგუმენტაცია, რატომ იყო ეს პოზიცია დამაზიანებელი პარტიისთვის, მათ შორის საერთაშორისო ასპარეზზე, პირველ რიგში, როგორ აღიქვამდნენ ამას სახეში გარტყმად ჩვენი პარნტიორები – ევროკავშირი და აშშ. იქვე დავაფიქსირე ჩემი სურვილი, რომ ამ დოკუმენტს მოვაწერო ხელი, მე, პირადად. ხაზგასმით უნდა ავღნიშნო, რომ ამ დოკუმენტის ხელმოწერა ერთადერთ გზად დატოვა ხელისუფლებამ პოლიტიკური პატიმრების გასათავისუფლებადაც.

არგუმენტი, რომ ენმ ხელს არ აწერს დოკუმენტს, რომელიც მელიას გათავისუფლების გარანტიაა და ითხოვს მის უპირობო გათავისუფლებას, არ აღმოჩნდა დამარწმუნებელი, მეტიც, ვიტყოდი, რომ გაუგებარია მედიატორებისთვის. გამოვხატე ჩემი წუხილი, რომ ენმ-ის უარი ხელმოწერაზე, აღქმული იქნებოდა ოპოზიციის დანაწევრებად და კამპანია, რომელიც ხელმომწერების წინააღმდეგ გაიმართებოდა, დააზიანებდა ოპოზიციურ ერთობას. დააზიანებდა ენმ-საც, რომელსაც ხელისუფლება მუდმივად ცდილობს იზოლირება გაუკეთოს, როგორც „დესტრუქციულ“ ძალას. რადგან ჩემი არგუმენტები არ იქნა გათვალისწინებული, შესაბამისად, მე, პირადად ავიღე ჩემს თავზე პასუხისმგებლობა და ხელი მოვაწერე დოკუმენტს, როგორც საქართველოს პარლამენტის არჩეულმა წევრმა, მისი ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე და ასევე, სწორედ იმ მიზნით, რომ პოლიტიკური პატიმრები გათავისუფლდნენ. იმედია, ყველას ესმის, რომ ნიკა მელიასა და გიორგი რურუას პატიმრობის დასრულების მიზნით, ამ ქვეყნის ევროპული მომავლის უზრუნველყოფისა და ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობების გაფრთხილების მიზნით გადაიდგა, სწორედ ეს ნაბიჯი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ დავტოვე ენმ? ამ ეტაპზე, მე, ცხადია, აღარ ვაგრძელებ პოლიტიკურ საქმიანობას ენმ-ის სახელით.

რაც შეეხება პარტიის ოფიციალურად დატოვების განაცხადს – ცხადია, დაველოდები ჩემი მეგობრის, ნიკა მელიას გათავისუფლებას, მექნება მასთან, როგორც პარტიის თავმჯდომარესთან, საუბარი და ამის შემდგომ მივიღებთ ოფიციალურ, ცივილიზებულ გადაწყვეტილებას. იმედია, რომ ყველა შეკითხვას ვუპასუხე. დანარჩენს კი, საღამოს ეთერებში გაგიზიარებთ, უფრო დეტალურად“, – დაწერა სალომე სამადაშვილმა სოციალურ ქსელში.

ერთი სიტყვით, წეღანდელი თქმისა არ იყოს, პოლიტიკური კომედიის პირველი ნაწილი დამთავრებულია. მალე ფარდა დაეშვება და... წარმოდგენის მეორე ნაწილი, წესით, პირველზე უკეთესი უნდა იყოს, თუმცა ვნახოთ, რა და როგორ მოხდება.

დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილი არის ადამიანი, რომელსაც სურს რევანში!“

„კარგია, რომ შეთანხმება შედგა და ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი პარლამენტში შევა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

დასავლეთის მედიაციით მიმდინარე მოლაპარაკება მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებით დასრულდა. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის ახალ დოკუმენტზე – „საქართველოს წინსვლის გზა“, ხელმოწერის ცერემონია 19 აპრილს, პრეზიდენტის ორბელიანების სასახლეში გაიმართა. დოკუმენტს ოპოზიციის მხრიდან ხელი მოაწერეს ზურაბ ჯყარიძემ, მამუკა ხაზარაძემ, ბადრი ჯაფარიძემ, ხათუნა სამნიძემ, დავით ბაქრაძემ, სალომე სამადაშვილმა, ვახტანგ მეგრელიშვილმა და ალეკო ელისაშვილმა. მმართველი ძალიდან კი – არჩილ თალაკვაძემ და შალვა პაპუაშვილმა.

ამ ეტაპზე, შეთანხმებას ხელს არ აწეს ენმ, ევროპული საქართველო და ლეიბორისტული პარტია. დავით ბაქრაძემ და სალომე სამადაშვილმა დოკუმენტს ხელი ისე მოაწერეს, როგორც დამოუკიდებელმა დეპუტატებმა. სამადაშვილმა განმარტა, რომ პარლამენტში საქმიანობას ნაციონალური მოძრაობის სახელით აღარ აპირებს და პარტიიდან წასვლის ოფიციალურ გადაწყვეტილებას ნიკა მელიას გათავისუფლების შემდეგ მიიღებს.

დოკუმენტის თანახმად, ხელმომწერები ვალდებულებას იღებენ, შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, რეაგირება მოახდინონ პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე, ამნისტიის საშუალებით და/ან ისეთი ზომების მიღებით, რაც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს. კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, პარლამენტში წარდგენილმა პარტიამ უნდა მოახდინოს ინიცირება კანონისა ამნისტიის შესახებ, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხება. ამასთან, მიშელის წინადადების თანახმად, „ქართული ოცნების“ 2021 წლის 16 აპრილის შეთავაზების შესაბამისად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება 2022 წელს იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებს ნამდვილი პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს.

შეთანხმების მიღწევის შემდეგ, საქართველოში შარლ მიშელი ჩამოვიდა, მანამდე კი განაცხადა: „მადლობელი ვარ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მისი ხედვისთვის და ასევე, თქვენი, პოლიტიკური ლიდერებისა და ოპოზიციური პარტიების არჩეული წევრების, თქვენი გამბედაობისა და თქვენი გამბედავი პოლიტიკური არჩევანისთვის... ეს შეთანხმება არ არის ფინიშის ხაზი, ეს არის საწყისი წერტილი თქვენი სამუშაოსთვის, რომელიც უნდა გასწიოთ საქართველოს დემოკრატიულობის კონსოლიდაციის გზაზე და თქვენი სამუშაოსთვის, რომელიც უნდა გასწიოთ საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის გზაზე“. ოპოზიციისა და ხელისუფლების შეთანხმებაზე „ვერსია“ პოლიტიკის ექსპერტ დავით ზურაბიშვილს ესაუბრა:

– მართალია, ყველა მხარეს არ მოუწერია ხელი, მაგრამ ეს შეთანხმება რომ შედგა და პარლამენტში შევა ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისთავად, კარგია. საერთოდ, პირველივე დღიდან ვიყავი ბოიკოტის კატეგორიული წინააღმდეგი. ზოგი ცდილობს, ბოიკოტის რეჟიმი იმით გაამართლოს, რომ ეს შეთანხმება და მნიშვნელოვანი დათმობა, რაზეც დასავლეთის ზეწოლით ხელისუფლება წავიდა, ბოიკოტმა მოიტანა, მაგრამ რეალურად, ეს ხელისუფლების ძალიან უხეშმა შეცდომებმა მოიტანა, როდესაც ბოიკოტის რეჟიმის დროს შეეცადნენ, რეპრესიებით „ჩაეწიხლათ“ ოპოზიცია და დაიჭირეს ნიკა მელია. ამან გამოიწვია დასავლეთის ძალიან სერიოზული შეშფოთება. სანამ მელიას დაიჭერდნენ, მანამდეც იყო ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმში, მაგრამ დასავლეთი ხელისუფლებას კი არა, ოპოზიციას აკრიტიკებდა და მოუწოდებდა პარლამენტში შესვლისკენ. როგორც კი მელია დაიჭირეს, სიტუაცია შეიცვალა და ეს არ იყო ძნელი მისახვედრი, ვისაც ოდნავ მაინც ესმის საერთაშორისო პოლიტიკის ანაბანა. ამ შეცდომამ გამოიწვია ძალიან სერიოზული შეშფოთება იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური მართლმსაჯულების აშკარა გამოხატულება იყო. პრინციპში, რაც მივიღეთ, ვფიქრობ, ბოიკოტის გარეშეც შეეძლო ოპოზიციას. კი, უნდა გამოეხატა პროტესტი არჩევნების მერე, მაგრამ დასავლეთის მხარდაჭერით, ადრეც შეიძლებოდა რაღაცების მიღწევა. მელია არ იქნებოდა გამოსაშვები იმიტომ, რომ გარეთ იყო... საერთოდ, მთლიანობაში, დადებითად ვაფასებ ამ შედეგს.

– ბატონო დავით, როგორ ფოქრობთ, ამ დოკუმენტის მიხედვით, რომელმა მხარემ დათმო უფრო მეტი?

– ამას არ ვუყურებ, როგორც ორ მხარეს. საერთოდ, ვუყურებ მთელ პროცესს ისე, თუ რა არის ქვეყნისთვის ანუ ნებისმიერი ჩვენი მოქალაქისთვის სასარგებლო. ვფიქრობ, სასარგებლოა მეტი პლურალიზმი, მრავალფეროვნება, დემოკრატია და მეტი შანსი, რომ ერთპიროვნული მმართველობა არ იყოს ქვეყანაში. გადაწყვეტილება არ მიიღებოდეს ერთი ადამიანის ხუშტურებით და ერთი პოლიტიკური ძალის ხელში არ აღმოვჩნდეთ. ამისკენ კი ეს პოზიტიური ნაბიჯია და ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველასთვის კარგია. ვიღაცას, შეიძლება, არ მოწონს და თვითონ უნდა, რომ იჯდეს მთელი ცხოვრება ქვეყნის სათავეში, მისთვის ეს კარგი არაა.

– რამდენად მნიშვნელოვანია ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის, პარლამენტში ყოფნა?

– ამ პარტიის ძალაცა და სისუსტეც ერთი ადამიანია – მიხეილ სააკაშვილი. ესაა ნომერ პირველი პრობლემა ამ პარტიისთვის. არ ვამბობ, რომ მათი ამომრჩევლის 100%, მარტო მიხეილ სააკაშვილის გამო აძლევს ხმას, მაგრამ ასეთი ძალიან ბევრია. თავად მიხეილ სააკაშვილს რომ ვუსმენ, რასაც ლაპარაკობს, ეს არის ადამიანი, რომელსაც სურს ხელისუფლებაში დაბრუნება და რევანში. სხვა მესიჯი მისგან არ მოდის, შეუძლია, კვირაში შვიდჯერ შეცვალოს ჩვენება, სხავადასხვა რამ ილაპარაკოს. არ მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის ყველა წევრი, ამ გაგებით რევანშისტია, მაგრამ სანამ მიხეილ სააკაშვილია ამ პარტიის ლიდერი და მის გარეშე ბევრს დაკარგავენ ელექტორატში, ეს პარტია ყოველთვის იქნება გამორჩეული იმდენად, რამდენადაც საზოგადოებაში ბევრი ისეთი ადამიანი იქნება, ვინც არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში მობრუნება გამოიწვევს პოლიტიკურ რევანშიზმს და ეს არ იქნება კარგი ქვეყნისთვის, თან სააკაშვილი იყოს და თან პროგრესული ცვლილებები გინდოდეს, ეს არ გამოვა. კი, პარტიაში არის ხალხი, რომელიც ქვეყნისთვის კარგი იქნება, თუ პოლიტიკაში იქნებიან, მაგრამ სანამ სააკაშვილი მათი ლიდერია, ყოველთვის საფრთხობელას როლში დარჩებიან.

– ისე, როგორი მოლოდინი გაქვთ, შეიძლება, ამ პროცესების გამო, ნაციონალური მოძრაობა კიდევ ერთხელ დაიშალოს?

– არ მგონია, ჯერ დაიშალოს, თუმცა მოგებით ვერ მოიგებს ვერცერთ ვარიანტში – თუ გარეთ დარჩა ან თუ პარლამენტში შევა. მე არ ვგულშემატკივრობ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებას, გულახდილად ვამბობ, ფრაგმენტაციის მომხრე უფრო ვარ. არ ვარ მომხრე, რომ ნაციონალური მოძრაობა იმ სახით, როგორც არის, სააკაშვილის ლიდერობით გაძლიერდეს და დღეს რომ ობიექტურად, ნომერ პირველი რეიტინგული პარტიაა ოპოზიციაში, არ მგონია, რომ ეს კარგია ქვეყნისთვის, თუმცა ისიც მესმის, რომ ციდან მესია არ ჩამოვარდება და რა პოლიტიკური სპექტრიც გვყავს, ესაა. ამიტომ სააკაშვილის დაბალანსების მექანიზმი, სხვა პარტიების გაძლიერება და მეტი პლურალიზმი მგონია.

– ის, რაც გუშინ ვნახეთ, ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო?

– კი, რა თქმა უნდა, არა მარტო მე, არამედ, ევროკავშირი, აშშ-იც ზუსტად იმავეთია დაინტერესებული – მრავალპარტიულობით, პლურალიზმით, კოალიციურობით, შეთანხმებით და იმით, რომ პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთს არ უყურებდნენ, როგორ მოსისხლე მტერს. ეს ყველასთვის კარგია და დასავლეთის მხარდაჭერა ამ პროცესისადმი ძალიან მნიშვნელოვანია.

ლადო კახაძე: „ეს სუფთა წყლის სპეკულაცია იყო“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებულ ახალ დოკუმენტს მმართველმა ძალამ და გარკვეულმა ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს. ნაციონალური მოძრაობა კი ამის გაკეთებას არ აპირებს. ამასობაში, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მზადაა, ხელი მოაწეროს გიორგი რურუას შეწყალებას, თუ ოპოზიცია პარლამენტში შევა და ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება შედგება. გაურკვეველია ნიკა მელიას საკითხი, რომელიც გირაოს გადახდაზე ისევ უარს ამბობს. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რომელიც ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება, „ვერსია“ მმართველი პარტიის პოლიტსაბჭოს წევრ ლადო კახაძეს ესაუბრა:

რა იცის მოსალოდნელ „ლოქდაუნზე“ და რატომ თვლის ოპოზიციას მერყევად უმრავლესობის წევრი

– დოკუმენტის პირველი ნაწილი, რომელზეც ხელი მოვაწერეთ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ძალიან სწორადაა გააზრებული, ესაა ქვეყანაზე მოფიქრალი ადამიანების გადაწყვეტილება და რთულ პანდემიურ, პოსტკოვიდურ პერიოდზე გათვლილი ნაბიჯი. ეს იყო გაწვდილი ხელი ქვეყნის სწორი სტრატეგიის არჩეულ გზაზე. რაც შეეხება დამატებით ცვლილებებს, ძალიან გამიკვირდა – აშშ-სგან და ევროპისგან სტაბილურობას ველი, ისინიც ყველას სტაბილურობისკენ მოგვიწოდებენ და უცებ, დოკუმენტში, რომელზეც ხელი მოვაწერეთ, ორ დღეში შევიდა ცვლილება. მიუხედავად ამისა, ოპონენტების მხარე არ აპირებს ამაზე ხელის მოწერას. ყველაფერ ამას კიდევ ერთხელ გავივლით...

– როდის შეიკრიბება მმართველი პარტიის პოლიტსაბჭო ამ საკითხების განსახილველად?

– ამას თავისი წესი აქვს, პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს პოლიტსაბჭოს შეკრებაზე, რომელიც თვითიზოლაციაშია. პარტიის თავმჯდომარე კი ევროპაშია და უნდა ჩამოვიდეს. პოლიტსაბჭოს ზოგი წევრი კოვიდინფიცრებულია, თვითიზოლაციაშია, ამიტომ უნდა მოხდეს საკითხის სრულფასოვანი განხილვა. 84 კაცია უმრავლესობაში, რომლებსაც საკუთარი ისტორია და პარტიის შენებაში მონაწილეობა აქვთ მიღებული. ჩვენ ასეთი წესი გვაქვს – ყველა საკითხს განვიხილავთ, მიდის ბჭობა და შეჯერებულ ვარიანტს ვაძლევთ მწვანე შუქს, რომელსაც ახმოვანებენ სპიკერები. ამიტომ ცვლილება, რომელიც ახლააა შემოთავაზებული, დამატებით კონსულტაციას ითხოვს. პარტიის სახელით ახლა ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ პირადად მე, დავუსვამდი კითხვას ჩვენს დასავლელ გულშემატკივრებს: ისინი გვეუბნებიან, პოლიტიკური სასამართლო ნუ გექნებათო და პოლიტიკური გადაწყვეტილებით, სასამართლო გადაწყვეტილებაში ჩავერიოთ, ეს როგორ უნდა მოვარგოთ, რა გზას გვირჩევენ? თავიანთი ნათქვამის საწინააღმდეგო ქმედება რომ ჩავიდინოთ, ულამაზო გამოვა. ისინი ამბობენ, სასამართლო გაათავისუფლეთ პოლიტიკური წნეხისგანო და უცბად, პოლიტიკური გადაწყვეტილების მეოხებით, სასამართლო გადაწყვეტილების კორეგირება მოვახდინოთ – ეს ცოტა გაუგებარია. სასამართლო დამოუკიდებელ ხელისუფლებად რომ ჩამოყალიბდეს, დრო და სტაბილურობა სჭირდება. დიდი გადაწყვეტილებები მიიღო ჩვენმა ხელისუფლებამ და ყველაფერი ეს, ძალაში უნდა შევიდეს, სასამართლომ უნდა ირწმუნოს, რომ ვერავინ ჩაერევა მის საქმიანობაში. ამ პროცესისკენ წავედით, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გვინდა...

– ბატონო ლადო, დოკუმენტში წერია, რომ თუ ადგილობრივ არჩევნებში, რომელიმე პარტია 43%-ზე ნაკლებს მიიღებს, 2022 წელს, ვადამდელი ჩაინიშნება, ამ საკითხზე რა პოზიცია გაქვთ?

– ეს ამ დოკუმენტში საერთოდ არ ეწერა, ჩვენ შევთავაზეთ 40% იმიტომ, რომ 8 მარტის ხელშეკრულებაში, ზუსტად ასე იყო მითითებული: არც ერთ პარტიას არ მიეცეს მთავრობის ჩამოყალიბების კონსტიტუციური ნებართვა, რომელსაც არ ექნება მხარდამჭერთა 40%-იანი ბაზა. ჩვენ 48%-ზე მეტი მივიღეთ, ცალსახად შეგვეძლო, ჩამოგვეყალიბებინა მთავრობა და მოქმედი მთავრობა საკანონმდებლო სივრცის მხარდაჭერითაა. ოპონენტების ნათქვამის კომენტირებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ იმ ოპონენტ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომელიც ჩამოყალიბდა მხარედ, არც ერთ პარტიას არ აქვს მთავრობის შექმნის უფლება კონსტიტუციურად იმიტომ, რომ ვერც ერთმა 40%-ს ვერ მიაღწია. ამიტომ, ეს სუფთა წყლის სპეკულაცია იყო...

– ბატონო ლადო, ამ დოკუმენტში მთავრობის ჩამოყალიბებას კი არა, საქმე ვადამდელ არჩევნებს ეხება...

– დიახ, მივხვდი... ახლა, რადგან პლებისციტსა და რიგგარეშე არჩევნებს შორის კავშირი უნდა გაბმულიყო, ევროკავშირს გავუადვილეთ საქმე და ვუთხარით, რომ ამაზეც თანახმა ვართ, ჩვენი ინიციატივაა ეს, რომ სალაპარაკო თემა არ იყოს, მაგრამ ჩემო ძვირფასო, დარწმუნებული ვარ, 50%-იც რომ მიიღოს პარტიამ, ოპონენტთა მხარე მაინც არ დათანხმდება არც ერთ არჩევნებს. ამის დიდი გამოცდილება მაქვს იმიტომ, რომ 2020 წლის არჩევნების წინ, ჯერ კიდევ სექტემბერში ლაპარაკობდა ოპონენტთა მხარე და რადიკალური ფრთაში ამბობდნენ, რა შედეგიც უნდა დადგეს 31 ოქტომბერს, იმავე საღამოს უნდა დაიწყოს უამრავი საჩივრის დაწერა და არ უნდა ვცნოთ ეს არჩევნებიო. ჩემდა სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელსაც საკმაოდ დიდი ნდობა ჰქონდა – იქაც მოხდა რაღაც დარღვევა, არ ვიცი – ხელი წაუცდათ თუ ოპონენტთა პოლიტიკური ძალა ჩაერია, ისეთი ციფრები დადო, რომელიც ბუნტის საშუალებას იძლეოდა და ამ დროს შეცდომა იყო. ვთვლი, რომ ეს შეგნებული შეცდომა იყო, მაგრამ ამის დამტკიცება არ შემიძლია.

– ასეა თუ ისე, პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად, დასავლეთმა დოკუმენტში ერთ პუნქტად ჩადო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე იყოს მიბმული ვადამდელი არჩევნების თემა...

– ეს პუნქტი ჩვენ დავდეთ და მათ, უბრალოდ, პროცენტს მოუმატეს.

– ე.ი. „ქართული ოცნება“ ამ პუნქტს თანხმდება და განსახილველი მხოლოდ პოლიტპატიმრების თემა რჩება?

– როცა შეიკრიბება მთელი უფლებამოსილი მხარე ამ საკითხის გადაწყვეტისა და ჩვენ მარტო არ ვართ, ჩვენს ზურგს უკან დგას მილიონი მოსახლე, მათ აუცილებლად უნდა ვამცნოთ, რომ ამ გადაწყვეტილებას ვიღებთ მათი სახელით და ამ პოლიტიკურ ბრძოლაში მათთან ერთად მივდივართ. ხაზს ვუსვამ, პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ იქნება ხელმოწერაზე ლაპარაკი და მე, როგორც ერთი წევრი, თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ, რა დოკუმენტიც დაიდება, პირველად ხელი უნდა მოაწეროს ოპოზიციამ, რადგან მერყევი ხალხია და მათზე ზემოქმედება ძალიან ძლიერია ქვეყნის გარედან.

– მიხეილ სააკაშვილს გულისხმობთ?

– რასაკვირველია, გგონიათ, 7 პარტიაა? – იქ არის ერთი პარტია, მისი ანასხლეტია ყველა და იქ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ვერავინ იღებს.

– გასაგებია... ბატონო ლადო, პანდემიის კუთხით, როგორი ვითარებაა დღეს საქართველოში?

– ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ მესამე ტალღით, რომელიც ევროპამ გადაიარა, ჩვენც მკაცრი საშიშროება გვემუქრება. პანდემიაში როცა ერთმა მხარემ დანამდვილებით იცის, რომ საშიშროება გვემუქრება და მეორე მხარს არ უჭერს, იმარჯვებს ვირუსი. ვირუსი გვიყენებს თავის სასარგებლოდ და ჩვენდა სამწუხაროდ, ერთმანეთის ქიშპში, ვირუსის გაძლიერებამ არ მოგვიწიოს. თუ ვამბობთ, რომ პოპულაციური, კოლექტიური იმუნიტეტი ადამიანთა 70-80%-ის აცრით ყალიბდება, თითოეული ადამიანის როლია გამოკვეთილი.

– თქვენ „ასტრაზენეკას“ ვაქცინით აიცერით, ხომ?

– დიახ, ჩემი ოჯახის წევრებიც. მაღალი ნდობით აღჭურვილი ვაქცინით მოსახლეობა უნდა აიცრას, ეს არაა ძალდატანებითი პროცესი, ნებელობითია. მჯერა, როგორც ექიმს, ჩემს თავსა და ოჯახის წევრებზე გამოცდილი მაქვს და სხვასაც ვთხოვ, გონიერებასა და პრაგამტულობას მოუხმოს, რომ ჯანმრთელობის სადარაჯოზე დავდგეთ ყველა, ერთმანეთის გულშემატკივრები გავხდეთ და ვიფიქროთ პოსტპანდემიაზე, რადგან სტუმრები რომ ჩამოვიდნენ და ჩვენც თუ სადმე სტუმრად წავალთ, უნდა ვიყოთ მართლები. ამასთან, მნიშვნელოვანია წესების დაცვა: პირბადე, ხელის ჰიგიენა, სამუშაო ადგილის აერაცია და დიდი თხოვნა მაქვს, რომ თავშეყრას მოვერიდოთ. პიკის საათში, როდესაც ტრანსპორტით გვიწევს გადაადგილება, დამატებით მეორე პირბადეც გავიკეთოთ, მიუხედავად იმისა, რომ ცხელა და დიდი დისკომფორტია პირბადე, ეს აუცილებელი პირობაა.

– ბატონო ლადო, სააღდგომოდ „ლოქდაუნი“ ხომ არ იგეგმება?

– ძალიან დიდი იმედი გვაქვს ჩვენი თანამოქალაქეების გონიერების. სისტემა მზადაა, ისეთ შემოტევას გაუძლო, დღეში 5000 ინფიცირებული რომ იყო, მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ ამ გზით ვიაროთ, არამედ, პრევენციის გონიერება მოგვიხმობს, რომ არ გავირთულოთ მდგომარეობა. თუ დავიჭირეთ სიტუაცია და პიკი, დაახლოებით, ერთი თვის თავზე შეიძლება იყოს, ეს ერთი თვე, ერთმანეთის პატივისცემით გავიჭირვოთ და ეს პიკის ტალღა გადავატაროთ.

– ანუ, „ლოქდაუნზე“ საუბარი ჯერჯერობით არაა?

– ამაზე ლაპარაკი არ არის. დადებითობის მაჩვენებლი 4%-ზე ზემოთ, დიდ საშიშროებას შეგვიქმნის, მაგრამ დიდი თხოვნა მაქვს, რომ ვაქცინაციას მივაშველოთ ის ძირითადი მოთხოვნები, რაზეც ვისაუბრე და ერთმანეთს შევუძახოთ, არიქა, ცოტაც და გადავაგოროთ ეს მდგომარეობა, თორემ „ლოქდაუნის“ მერე ვერ გავიმართებით, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება ეკონომიკა. ამოსუნთქვა დაიწყო ბიზნესმა და ხელი უნდა შევაშველოთ, ხელი ერთმანეთს უნდა შევაშველოთ, მაგრამ ასეთ განაცხადს რომ ვაკეთებ, თავში გამიელვებს ხოლმე თავყრილობები, ქორწილები, ქელეხები და დიდი თხოვნა მაქვს, ნუ გავაკეთებთ ამას, რომ მომავალი წლიდან ვიყოთ გამართულები. ერთი თვე უმკაცრესად და მერე ზაფხულიც წაგვეშველება ცოტა.

რა უკანონო საქმიანობას ეწევა და როგორ დახარჯა უყაირათოდ საბიუჯეტო სახსრები აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრომ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი სკანდალური დასკვნა

რამდენიმე დღის წინ, აფხაზეთის მკვიდრი, საქართველოს ოთხი მოქალაქე მდინარე ენგურში დაიხრჩო. ისინი ოკუპირებული გალიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რუსი ოკუპანტებისგან მალულად, ექიმთან და საყიდლებზე მოდიოდნენ. გარდაცვლილი ადამიანების ცხედრები მდინარე ენგურმა სოფელ შამგონაში გამორიყა...
სამწუხაროდ, ასეთი ტრაგედია თითქმის ყოველ წელს ხდება – გალის მკვიდრი საქართველოს მოქალაქეები აფთიაქში – მედიკამენტებისთვის თუ მარკეტში – პროდუქტებისთვის ზუგდიდში მოდიან, სამედიცინო სერვისებსაც ზუგდიდში იღებენ, ოღონდ ოკუპანტების გვერდის ავლით, მდინარე ენგურის გავლით, რაც სამწუხაროდ, ტრაგედიით სრულდება ხოლმე. ამჯერადაც ასე მოხდა – დილის 4-5 საათზე, კაშხლიდან წყალი გაუშვეს, მდინარე ადიდდა და...
ამ ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორ სრულდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური სწორედ ამ საკითხით დაინტერესდა და შესაბამისი ანგარიშიც გამოაქვეყნა, რომელიც 2018-2019 წლებს მოიცავს. სამწუხაროდ, აუდიტორებმა სხვადასხვა სახის დარღვევები, სწორედ იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებში აღმოაჩინეს.

ხარვეზები პროგრამების დაგეგმვა-შესრულებაში

ვიდრე იმ დარღვევებსა და ხარვეზებს გაგაცნობთ, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, აუცილებლად უნდა შეგახსენოთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს განეკუთვნება: აფხაზეთის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია; იგპ-თა (აგრეთვე, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა) ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისთვის მიმართული საქმიანობის წარმართვა; სამინისტროს მმართველობაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებით, მედიკამენტებით, ინვენტარითა და სხვა საშუალებებით მომარაგების ხელშეწყობა; ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; დაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების სახელმწიფო (ცენტრალური) და სხვა ჯანდაცვის პროგრამების კოორდინირებაში მონაწილეობა. სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

ვნახოთ, რა დარღვევებია საბიუჯეტო პროგრამების დაგეგმვასა და შესრულებაში. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რესპუბლიკურ ბიუჯეტში პროგრამების მიმართულებები არასათანადოდაა ასახული.

„სამინისტრომ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილი წესების გვერდის ავლით, პროგრამების მიმართულებებისთვის კომპონენტების დარქმევით, არ განახორციელა პროგრამების ქვეპროგრამებად დაყოფა და მათი 2018-2019 წლების აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკურ ბიუჯეტში ასახვა. შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტით ვერ ხერხდება სამინისტროს ოთხი პროგრამის 20-ზე მეტ კონკრეტულ მიმართულებაზე ანუ ქვეპროგრამაზე, თითოეული წლისათვის დაგეგმილი დაფინანსების მოცულობის, ასევე, მისი ცვლილებების ან/და შესრულების მდგომარეობის იდენტიფიცირება. აღნიშნული მიუთითებს სამინისტროს მხრიდან პროგრამების კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით, არაეფექტურ დაგეგმვაზე“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა საბიუჯეტო პროგრამების დაგეგმვის საფუძვლების ნაკლოვანებებიც გამოავლინეს. მეტიც, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ სამინისტროს პროგრამების დაგეგმვა ხორციელდებოდა დევნილთა საჭიროებების შესაბამისად, ხოლო პროგრამების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2019 წელს დამტკიცებულ პროგრამებში განსაზღვრული რვა კომპონენტი ანუ ქვეპროგრამა არ შესრულდა. შესაბამისად, სამინისტროს მხრიდან დაგეგმვის ეტაპზე არასაკმარისი კვლევისა და ანალიზის შედეგად, პროგრამების/ქვეპროგრამების არაეფექტურმა დაგეგმვამ, საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვის რისკები შექმნა.

რაც შეეხება დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების შინაარსის ხარვეზებს, სახელმწიფო აუდიტის მიხედვით ირკვევა, რომ სამინისტროს მიერ, 2018-2019 წლებში დამტკიცებული პროგრამებითა და ქვეპროგრამებით, ვერ ხერხდება იმ დეტალური ღონისძიებებისა და მათი განხორციელების დროის იდენტიფიცირება, რომელთა მიხედვითაც ქვეპროგრამების შუალედური და პროგრამების საბოლოო შედეგები უნდა მიღწეულიყო.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ საბიუჯეტო პროგრამების შესრულების შეფასების ინდიკატორები არ განუსაზღვრავთ. კერძოდ, 2018-2019 წლებში, პროგრამებისა და კომპონენტებისთვის (ქვეპროგრამებისთვის) სამინისტროს არ განუსაზღვრავს შეფასების ინდიკატორები, რომლებიც წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად აღწევს პროგრამა/ქვეპროგრამა დასახულ მიზნებს, ხოლო მთავრობისთვის წარდგენილ ანგარიშებში ფიქსირდება მხოლოდ განხორციელებულ კომპონენტებში დაფინანსებული განცხადებების რაოდენობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და არ ხდება ინფორმაციის მიწოდება დაუკმაყოფილებელ განცხადებებზე, განუხორციელებელ კომპონენტებზე (ქვეპროგრამებზე) ან/და განსხვავებული მომსახურების მოთხოვნის მიზნით შემოსულ მოქალაქეთა მოთხოვნებზე.

დარღვევები ბენეფიციართა შერჩევა-დაფინანსებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2018 წელს, კოორდინატორთა საქმიანობის წესი დადგენილი არ ყოფილა, ხოლო 2019 წელს, მინისტრის ბრძანებით, ეს წესი მხოლოდ სამი კომპონენტისათვის იყო დამტკიცებული. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ დაადგინა, როგორ რეგულირდებოდა და რას ითვალისწინებდა მათი საქმიანობა. მეტიც, კოორდინატორები სათანადო კონტროლს არ ახორციელებდნენ, რაც საშუალებას მისცემდა, რომ მოქალაქეების განცხადებები შეესწავლათ და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, შესაბამისი პროგრამა შეერჩიათ.

სახელმწიფო აუდიტორებმა პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების კომისიის საქმიანობის ნაკლოვანებებიც გამოავლინეს. კერძოდ, სამინისტროში დაფინანსების კომისიებისთვის, სხდომების ჩატარების პერიოდულობა არ განუსაზღვრავთ, ხოლო აუდიტორული პროცედურებით, კომისიების სხდომების არასისტემური და არარეგულარული ჩატარების ფაქტები გამოვლინდა, რაც იწვევდა ბენეფიციართა განცხადებების არადროულ განხილვებსა და დაგვიანებულ გადაწყვეტილებებს.

„ჰოსპიტალური მკურნალობის დაფინანსების ხელშეწყობის კომისიის საქმიანობაში დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც კომისიამ დაარღვია მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების ვადები. განცხადებების განხილვის არადროულობამ, ბენეფიციართა მიმართ უსამართლო და სხვა ბენეფიციარებთან შედარებით, არათანაბარი მიდგომა გამოიწვია. მეტიც, ვერ ხერხდება ბენეფიციარების საჭიროებებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირება და ხშირ შემთხვევაში, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოკლებულია შესაბამის დასაბუთებას“.

ხარვეზები პროგრამულ შესყიდვებში

რა თქმა უნდა, დარღვევები აღმოჩნდა სახელმწიფო შესყიდვებშიც. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2018-2019 წლებში, სამინისტრომ ჯამში, შვიდი სახელმწიფო შესყიდვა განახორციელა, ოღონდ ისე, რომ გეგმაში ცვლილებები არ შეუტანია. შედეგად, არაეფექტიანი დაგეგმვის ფაქტები დაფიქსირდა და გაირკვა, რომ სამინისტრო სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებდა კანონმდებლობის დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, შესყიდვების გეგმის შეუსაბამოდ, რაც მიუთითებს შესყიდვების სამსახურის მიერ საქმისადმი არაჯეროვან დამოკიდებულებაზე და სახელმწიფო სახსრების არაეფექტიანი მართვის რისკებს ქმნის.

„რაც შეეხება სამკურნალო რეაბილიტაციის შესყიდვის ხარვეზებს, 2018 წელს, სამინისტროს მიერ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) ამბულატორიული დახმარების პროგრამის სამკურნალო რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში, ტენდერი ორჯერ გამოცხადდა. ამ ტენდერების შესწავლით გამოვლინდა, რომ მიმწოდებელმა მაღალი ფასი წარადგინა და შემდგომში, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, უარი განაცხადა თავდაპირველ ტენდერში დაფიქსირებულ დაბალ ფასზე. ნაცვლად იმისა, რომ სამინისტროს სატენდერო კომისიას აღნიშნული ქმედების არაკეთილსინდისიერება განეხილა და მიმწოდებლისთვის მიეცა დისკვალიფიკაცია ან/და დაერეგისტრირებინა შავ სიაში, პირიქით, ხელშეკრულება სწორედ ამ მიმწოდებელთან გააფორმა, თანაც გაზრდილი ფასით! ეს ნიშნავს, რომ სამინისტროს სატენდერო კომისია, მასზე დაკისრებულ მოვალეობებს არაჯეროვნად ასრულებს, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად, არაეფექტიანად განკარგვის რისკებს ქმნის“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2018-2019 წლებში, აფხაზეთიდან იგპ-თა ამბულატორიული დახმარების პროგრამის სტომატოლოგიური ორთოპედიული პროთეზირების კომპონენტის ფარგლებში გამოცხადებული ოთხი ტენდერიდან, სამში გაიმარჯვა პრეტენდენტმა, რომელიც ამავე კომპანიაში დასაქმებულ პირს ჰქონდა ნაქირავები მფლობელისგან.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული კონტროლის მექანიზმები გამოირჩევა ნაკლოვანებებით და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა ვერ დასტურდება. შესაბამისად, სამინისტროში არსებული კონტროლის გარემო არადამაკმაყოფილებელია, რის გამოც იქმნება სამინისტროს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ საქმიანობისა და საჯარო რესურსების არაეფექტიანად მართვის რისკები.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რატომ გაძვირდა ზეთი – იმპორტიორთა საბოტაჟი თუ „დამპლური თამაშები“

„ვერსიის“ ექსპერიმენტი – რა ღირს 1 ლიტრი ზეთი ევროპასა და აშშ-ში

რამდენიმე კვირაა, საქართველოში 1 ლიტრი რაფინირებული (მზესუმზირის) ზეთი 7-8 ლარამდე გაძვირდა. იმპორტიორები ამ პროდუქტის გაძვირების ორ მიზეზს ასახელებენ – ნედლი პროდუქტის, მზესუმზირის მარცვლის გაძვირებას და დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის – ლარის გაუფასურებას. მეტიც, იმპორტიორების განცხადებით, ზეთი გაძვირდა იმ ქვეყნებში, საიდანაც საქართველოში შემოაქვთ, ძირითადად, რუსეთსა და უკრაინაში. „ვერსია“ დაინტერესდა, რატომ გაძვირდა ზეთი საქართველოში, ვინ არიან იმპორტიორები და კონკრეტულად, რომელი ქვეყნებიდან შემოდის ეს პროდუქტი საქართველოში?

დავიწყოთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, „საქსტატის“ ოფიციალური ინფორმაციით: უწყების ცნობით, 2020 წელს, საქართველოში, 44 555 000 ტონა რაფინირებული ზეთი შემოვიდა. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები რუსეთი, აზერბაიჯანი და უკრაინაა, თუმცა მცირე რაოდენობით შემოდის თურქეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და ბელგიიდანაც კი. 2020 წელს, რუსეთიდან საქართველოში 40 455 000 ტონა ზეთის იმპორტი განხორციელდა, აზერბაიჯანიდან – 2 603 300 ტონა, უკრაინიდან – 1 268 300 ტონა, თურქეთიდან – 196 400 ტონა, იტალიიდან – 21 800 ტონა, საფრანგეთიდან – 1800 ტონა, ბელგიიდან – 3 700 ტონა, ხოლო დანარჩენი ქვეყნებიდან – 4 700 ტონა.

რაც შეეხება 2021 წელს, „საქსტატში“ „ვერსიას“ განუმარტეს, რომ ამჟამად, მხოლოდ იანვარ-თებერვლის მონაცემებია დამუშავებული. შესაბამისად, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოში, მთლიანობაში, 3 821 700 ტონა რაფინირებული ზეთის იმპორტი განხორციელდა. რუსეთიდან 3 329 900 ტონა ზეთი შემოვიდა, აზერბაიჯანიდან – 296 500 ტონა, ურაინიდან – 163 700 ტონა, თურქეთიდან – 24 200 ტონა, იტალიიდან – 4 100 ტონა, საფრანგეთიდან – 300 ტონა. ბელგიიდან და სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან წელს ზეთი არ შემოუტანიათ.

ახლა ვნახოთ, ვინ არიან იმპორტიორები. „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ქვეყანაში 120-მდე იმპორტიორია რეგისტრირებული. თითოეული მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ იმ ძირითად იმპორტიორებს გაგაცნობთ, რომლებმაც რაფინირებული ზეთი 2020-2021 წლებში შემოიტანეს. ეს კომპანიები არიან: შპს „ჯანო 1“, შპს „ბი ემ ესი“, შპს „ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანია“, შპს „ჩირინა“, შპს „მზიური“, შპს „ჯეოსტარი“, შპს „ინტრეიდი“, სს „ნიკორა ტრეიდი“. ამ ჩამონათვალში, ყველაზე საინტერესოა კომპანია „ჩირინა“, რომელსაც საქართველოში ხორპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ბიუ ბიუს“ სახელით იცნობენ. კომპანიის ოფიციალური ინფორმაციით, „ბიუ ბიუ“ 100%-ით ქართული პროდუქციაა, თუმცა „ვერსიამ“ გაარკვია, რომ რაფინირებული ზეთის გარდა, „ჩირინას“ საქართველოში გაყინული ხორცპროდუქტებიც შემოაქვს.

მოკლედ, ესაა კომპანია, რომელიც ერთი მხრივ, ბაზარზე ადგილობრივ პროდუქციას უშვებს – ქათმის ხორცს გვთავაზობთ „ბიუ ბიუს“ სახელით, მეორე მხრივ კი, თვითონვეა ამავე სახის პროდუქციის იმპორტიორიც! ვფიქრობ, ამ კონკრეტული ინფორმაციით კონკურენციის სააგენტო უნდა დაინტერესდეს, თუმცა ამაზე სხვა დროს და სხვა სტატიაში დეტალურად გიამბობთ...

ისევ რაფინირებულ ზეთს დავუბრუნდეთ და მისი გაძვირების ორივე მიზეზი განვიხილოთ. პირველი მიზეზია ნედლეულის ანუ მზესუმზირის მარცვლის გაძვირება. მსოფლიო სურსათის ორგანიზაცია FAO-მ ანგარიში გამოაქვეყნა, რომლითაც ირკვევა, რომ მზესუმზირის ზეთის ფასი, 2008 წლის შემდგომ, პიკურ დონეზეა. ამ პროდუქტის გაძვირება 2020 წლის სექტემბერიდან დაიწყო, რაც ამ პროდუქტის უმსხვილეს მწარმოებელ რეგიონში – რუსეთსა და უკრაინაში მზესუმზირის დაბალმა მოსავალმა გამოიწვია. ამჟამად, 1 ტონა მზესუმზირის ზეთის საერთაშორისო ფასი 1.653 დოლარია, რაც 2020 წლის სექტემბერში არსებულ ფასთან შედარებით, 465 დოლარით ანუ 39%-ით მეტია!

FAO-ს ანგარიშის მიხედვით, ფასები სხვა მცენარეულ ზეთებზეც გაიზარდა. მაგალითად, 1 ტონა პალმის ზეთი 1.086 დოლარი ღირს, რაც წინა წელთან შედარებით, 46%-ით მეტია; 1 ტონა სიოს ზეთის ღირებულება – 1.136 დოლარია, რაც წინა წელთან შედარებით, 41%-ით მეტია.

FAO-ს ანგარიშზე დაყრდნობით, თითქოს ლოგიკურია, რომ მცენარეული ზეთი ადგილობრივ ბაზარზეც გაძვირდა. მით უმეტეს, თუ „საქსტატის“ მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, რომლის თანახმად, 1 ლიტრი მზესუმზირის ზეთის ფასი 2021 წლის მარტის მდგომარეობით, წლიურად, 62%-ითაა მომატებული.

მზესუმზირის ზეთის გაძვირების მეორე მიზეზი ეროვნული ვალუტის, ლარის გაუფასურებაა. იმპორტიორები ამბობენ, რომ ნედლეულს დოლარში ყიდულობენ და შემდეგ ლარში ჰყიდიან, ლარის გაუფასურება კი პროდუქციის ღირებულებაზეც ახდენს გავლენას ანუ მის გაძვირებას იწვევს.

ზოგადად, ინფლაცია და ქვეყანაში ფასების სტაბილურობა საქართველოს ეროვნული ბანკის უმთავრესი ამოცანაა, რაც კონსტიტუციითაა განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რას ფიქრობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, კობა გვენეტაძე მზესუმზირის ზეთის გაძვირებაზე. გვენეტაძის შეფასებით, შეუძლებელია, რომელიმე კონკრეტული პროდუქტის ფასის შენარჩუნება და ამას ცენტრალური ბანკი ვერ უზრუნველყოფს. მისი თქმით, კონკრეტულად მცენარეული ზეთის გაძვირებას თავისი მნიშვნელოვანი მიზეზები აქვს – ინფლაცია, საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდა და პანდემიის ფაქტორი:

„მაგალითად, „ფეისბუქზე“ ხშირად ვხვდებით სურათებს, რომლებშიც ასახულია მცენარეულ ზეთზე ფასის ზრდა, რაც რა თქმა უნდა, კარგი არ არის. ეს არის, როგორც ინფლაციის, ასევე, საგარეო ბაზარზე ამ პროდუქტის გაძვირების შედეგი და ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ხდება პანდემიის პირობებში. შეუძლებელია, კონკრეტული პროდუქტების ფასის თარგეტირება. ინფლაცია ფასების საერთო ზრდის მაჩვენებელია და ვერცერთი ცენტრალური ბანკი ამას ვერ გააკეთებს. ბუნებაში ასეთი რამ არ არსებობს“.

გვენეტაძის განცხადებით, ფასების ზრდა მოსახლეობის ნაწილისთვის სოციალური პრობლემაა, რასაც სახელმწიფომ სოციალური დახმარებების პროგრამებით უნდა უპასუხოს:

„ამ შემთხვევაში, უნდა ჩაერთოს სოციალური დაცვის პროგრამები. შეუძლებელია, რომ მონეტარული პოლიტიკით ეს გადაწყდეს, ამიტომ ეს უკვე ბიუჯეტმა უნდა ითავოს. საქართველოში ასეთი სოციალური დახმარების პროგრამები არსებობს“.

მართალია, საქართველოს კონსტიტუციით, ფასების სტაბილურობა ეროვნული ბანკის ფუნქციაა, მაგრამ უწყების ხელმძღვანელი ამბობს, კონკრეტული პროდუქტის ფასის თარგეტირება შეუძლებელიაო და ხელს მთავრობისკენ იშვერს – კარგად მესმის, რომ ზეთის გაძვირება მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება, მაგრამ სახელმწიფომ სოციალური პროგრამა უნდა აამოქმედოსო. ავი წინასწარმეტყველება არ გვინდა, მაგრამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ასეთი განცხადების შემდეგ, გამორიცხული არ არის, ზეთის გარდა, სხვა პროდუქტებიც გაძვირდეს, მით უმეტეს, მძიმე მარხვა სრულდება და აღდგომის მოახლოებასთან ერთად, სრულიად შესაძლებელია, კვერცხისა და ფქვილის ფასმაც მოიმატოს.

ახლა ვნახოთ, რას აცხადებენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, თუმცა მანამდე აუცილებლად უნდა შეგახსენოთ, რომ 2020 წლის მარტში, როდესაც მთელი დედამიწა და ცხადია, საქართველოც ჩაიკეტა, რადგან პანდემია გამოცხადდა, მთავრობის გადაწყვეტილებით, პური და სხვა ძირითადი საკვები პროდუქტები არ გაძვირებულა. რაც შეეხება მცენარეულ ზეთს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ნაბიჯების გადადგმას არ აპირებს, მათ შორის, არც სუბსიდირება იგეგმება. არადა, საქართველოში პური იმიტომ არ ძვირდება, რომ სახელმწიფო ხორბლის ფქვილის შესაძენი ფასის სუბსიდირებას ახორციელებს – ტომარაზე, დაახლოებით, 20 ლარის ოდენობით. მზესუმზირის ზეთთან დაკავშირებით კი მსგავსი არაფერი იგეგმება!

დასასრული მე-8 გვერდზე

რა პრობლემები შეუქმნა პანდემიამ შშმ ბავშვებს

გვანცა პეტრიაშვილი

აუტიზმი გონებრივი მოშლილობაა, რომელიც ადრეულ ასაკში ჩნდება. ის ხასიათდება საკუთარ თავში ჩაკეტვით, რასაც თან ახლავს რეალობისგან მოწყვეტა, სოციალური ინტერაქტიურობის შესაძლებლობის არქონა, განმეორებითი მოძრაობები და მეტყველების მოშლა. როგორც ექიმები ამბობენ, აუტიზმის სრული განკურნება დღეს შეუძლებელია, თუმცა ადრეულ ასაკში ანუ 3 წლამდე დიაგნოსტიკა და მკურნალობა სიტუაციას აუმჯობესებს. „ჰოთნიუსი" ინგლისში მცხოვრებ 4 წლის ლუკას ცხოვრებით დაინტერესდა, რომელსაც შეფერხებითი აუტიზმის სპექტრი აღენიშნება. ინტერვიუ ლუკას დედასთან, ლელა გულიშვილთან ჩავწერეთ, რომელიც პანდემიით გამოწვეულ პრობლემებზე გვესაუბრა:

აუტისტური სპექტრის მქონე 4 წლის ლუკას ბრიტანული ცხოვრების ქრონიკა

– მთავარი პრობლემა ისაა, რომ ლუკამ ცურვასა და ჯირითის თერაპიაზე უნდა იაროს, მაგრამ ყველაფერი დაკეტილია, გესმით?! ასევე, უნდა იაროს მასაჟისტთან. მასაჟისტი სახლში ვერ შემოდის იმიტომ, რომ აკრძალულია, მაგრამ ნელ-ნელა გაიხსნება. მოკლედ, ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან ჩაიკეტა თერაპიის ყველა საშუალება, რაც ამ ბავშვებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნია.

– თავად ლუკა თუ საუბრობს, ან გამოხატავს უკმაყოფილებას იმის გამო, რაც პანდემიას მოჰყვა?

– არა, რადგან შინ, ეს ბავშვები თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ. ლუკა არაფერს გამოხატავს. ზოგადად, აუტისტი ბავშვებისთვის ყველაზე კომფორტული ზონა სახლია.

– როგორ ცდილობთ, შეინარჩუნოთ ის ყოველდღიური რუტინა, რომელიც პანდემიამდე გქონდათ?

– აუტისტი ბავშვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რუტინაა. არ უნდა ამოვარდე ყოველდღიურობიდან. ამ ბავშვებს არ უყვართ ცვლილებები, შესაბამისად, მშობელი, რომელიც გათვიცნობიერებულია ამ საკითხში და აქვს შესაბამისი ცოდნა, არ დაარღვევს ამ რუტინას, რადგან ზუსტად იცის, როგორ უნდა მიჰყვეს იმ ყოველდღიურობას, რომელიც აუცილებელია ამ ბავშვებისთვის..

– როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი – როგორც ვიცი, ლუკა ბაღში დადის...

– მხოლოდ ცოტა ხანი შეისვენა ბაღიდან, საერთოდ, აქ არც სკოლა გაჩერებულა და არც – ბაღი. ყოველ შემთხვევაში, სკოლასა და ბაღში ისეთი ბავშვები დადიოდნენ, რომლებიც სპეციალურ განათლებას საჭიროებენ. ასევე, ისინიც, რომელთა მშობლებიც მუშაობდნენ...

– საერთოდ, ამ მხრივ, საქართველოსა და ინგლისს შორის რა განსახვავებაა?

– საზოგადოება, განათლება, ჯანდაცვა – ყველა სფერო განსხვავებულია. აი, მაგალითად, ჯანდაცვის მხრივ, როდესაც ბავშვს დიაგნოზს დაუსვამენ, სერვისები უფასოდ ეძლევა. ისე, მხოლოდ მეტყველების თერაპევტი გვენიშნება 8-დან 12 კვირამდე. დანარჩენი სპეციალისტები მშობელმა უნდა მოიძიოს.

საქართველოდან ხშირად მომდის შეტყობინებები, რა ბედნიერი ხარ, ინგლისში რომ ცხოვრობ და თქვენს შვილს უცხოპლანეტელივით არ უყურებენო. დიახ, აქ მსგავსს ვერასოდეს ნახავთ. აბსოლუტურად ყველა გაგებით ეკიდება შენს მდგომარეობას და ამ მხრივ, ძალიან ლაღები ვართ...

– სკოლა და ბაღი როგორაა ჩართული ამ ბავშვების განვითარებაში?

– სკოლასა და ბაღში მასწავლებლები ისე არიან გადამზადებულები და იმდენად ჩართულები არიან ბავშვის განვითარებაში, რომ აღარ იციან, რით დაეხმარონ. საერთოდ, არ შეიძლება, ამ საკითხში, ინგლისი და საქართველო ერთმანეთს შეადარო! საზოგადოებრივი ცნობიერება საქართველოში ძალიან დაბალია – აუტისტ ბავშვს გიჟად რაცხავენ, ინგლისში კი, მსგავსი არაფერი ყოფილა.

რატომ გაძვირდა ზეთი – იმპორტიორთა საბოტაჟი თუ „დამპლური თამაშები"

მე-7 გვერდიდან

მართალია, რუსეთსა და უკრაინაში მზესუმზირის ცუდი მოსავალის გამო პროდუქცია გაძვირდა, მაგრამ დავინტერესდით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ევროპის კონტინენტზე და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ინფორმაციის მთავარი წყარო ის ადამიანები არიან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ.

მოკლედ, ერთი მეგობარი ვარშავაში ცხოვრობს, მეორე – ლონდონში, მესამე – პარიზში, მეოთხე – რეჯიო დი კალაბრიაში, მეხუთე – ნიუ იორკში. ჰოდა, სწორედ მათ შევეხმიანე და ვთხოვე, ჩვეულებრივ მარკეტში, რომელშიც ყოველდღიურად დადიან, ფოტო გადაეღოთ ისე, რომ ზეთის ფასი გამოჩენილიყო. ამ ფოტოებს სტატიასთან ერთად გთავაზობთ, თუმცა გეტყვით, რომ „ექსპერიმენტის" შედეგი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა – არც პოლონეთში, არც იტალიასა და საფრანგეთში, არც დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაშიც კი, ზეთი ისე ძვირი არაა, როგორც საქართველოში! მაგალითად, ლონდონში 1 ლიტრი მზესუმზირის ზეთი 85 პენსი ღირს, რაც ზუსტად 3.00 ლარია; იტალიაში – 1.49 ევრო, რაც 3.00-4.00 ლარია; პოლონეთში – 5.00 ზლოტი ანუ ზუსტად 3.00 ლარი, ხოლო საფრანგეთში – 1.49 ევრო ანუ 3.00-4.00 ლარი. ანალოგიური მდგომარეობაა ევროპის სხვა ქვეყანაშიც ანუ საშუალოდ, 1 ლიტრი ზეთი 3.00-4.00 ლარის ფარგლებში მერყეობს, აშშ-ში კი 2.00 დოლარი ღირს.

აქედან გამომდინარე, გვიჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ იმპორტიორები არცთუ კეთილსინდისიერად იქცევიან, თუმცა შესაძლოა, სულაც ცამდე მართლები არიან და მართლაც უკრაინასა და რუსეთში მზესუმზირის მარცვლის ცუდი მოსავლის ბრალია ყველაფერი, თუმცა თუ ეს ასეა, მაშინ უკრაინის მეზობელ პოლონეთს რატომ არ შეეხო ეს ამბავი? მეტიც, დასავლეთ უკრაინული დიალექტი იმდენად ჰგავს პოლონურს, რომ თავისუფლად ესმით ერთმანეთის, ჰოდა, ვარშავაში ზეთი 5 ზლოტი ღირდა პანდემიამდეც, პანდემიის დროსაც და ახლაც. სხვათა შორის, პანდემიის დროს ზეთი და სხვა საკვები პროდუქტები, პოლონეთის გარდა, არ გაძვირებულა იტალიაში, საფრანგეთსა და ლონდონში.

რა ხდება საქართველოში? როგორც უკვე გითხარით, პანდემიის პირველი ტალღის დროს ანუ შარშან, მარტში, როდესაც ქვეყანა ჩაიკეტა და კორონავირუსზე ბევრი არაფერი ვიცოდით, იმპორტიორებმა მთავრობას ულტიმატუმი წაუყენეს – სხვა გამოსავალი არ გვაქვს და ამიტომ, შაქარი, ზეთი, მაკარონი, წიწიბურა და ასე შემდეგ, უნდა გაძვირდესო. გახარიას მთავრობამ მაშინ იყოჩაღა და იმპორტიორებს დაპირდა, ოღონდ ძირითადი საკვები პროდუქტები არ გააძვიროთ და ოთხი თვით, ვიდრე პანდემიაა, სახელმწიფო დაასუბსიდირებსო. მაისის ბოლოს, პანდემია დასრულდა, ივნისში ყველა რეგულაცია თუ შეზღუდვა ნელ-ნელა მოიხსნა, ჰოდა, იმპორტიორებმაც „აიწყვიტეს" და ერთმანეთის მიყოლებით გაძვირდა ყველა ის პროდუქტი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იგივე ხდება ახლაც ანუ რა გარანტია გვაქვს, რომ მზესუმზირის ზეთის გაძვირებაც ჩვეულებრივი საბოტაჟი არ არის მთავრობის წინააღმდეგ?! სინამდვილეში, იმპორტიორებისა და ხელისუფლების ჭიდილში ჩვენ, რიგითი მოქალაქეები ვზარალდებით, რადგან ცხოვრება გვიძვირდება.

„ვერსია" არაფერს ამტკიცებს, სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობითა და ფაქტის ანალიზის საფუძველზე, ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ეს მართლაც საბოტაჟია. თუ ასეა, შეგახსენებთ, რომ საბოტაჟი სისხლის სამართლის დანაშაულია და ამ ფაქტით შესაბამისი ძალოვანი სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ. ისევ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებას მოვიშველიებ მზესუმზირის ზეთის გაძვირებასთან დაკავშირებით, რომელიც იმდენად უსუსურია, რომ სამწუხაროდ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ზეთის გაძვირების თემით არცერთი სტრუქტურა არ დაინტერესდება!

სამართალი

№12 21 აპრილი 2021 წ

გავლენიანი ძალოვანის შვილი უგზო-უკვლოდ გაქრა

ბათო ჯაფარიძე

რომელი ხელისუფლება და როგორი წყობაც უნდა იყოს, ყოველთვის იქნებიან ისეთები, რომლებსაც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები უთქმელად, ან კონკრეტული ადამიანების მითითებით, გაითვალისწინებენ და შეეცდებიან, პასუხისმგებლობა შეუმსუბუქონ. ასე იყო კომუნუსტების დროს, ასე იყო კომუნისტების შემდგომ, ასე იყო „ნაციონალების“ ზეობის პერიოდში და ასეა ახლაც. ეჭვი მაქვს, ასე იქნება მომავალშიც და ძალიან ბევრი დრო დაგვჭირდება იქამდე, რომ კანონი ყველასთვის ერთნაირად კანონობდეს.

რა მოხდა რესტორანში და რატომ ვერ მიაგნო გამოძიებამ დაკარგულს

70-იანი წლების დასაწყისში, თბილისში, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავი მოხდა – 20 წლის ბიჭი ღამით, რესტორნიდან გავიდა და იმის მიუხედავად, რომ ნასვამი იყო და საგანგაშო არაფერი გახლდათ, რადგან მისი გაუჩინარებიდან სულ რაღაც ერთი საათი იყო გასული, რესტორანში სამართალდამცავების არმია მივიდა და დაკარგული მოიკითხა. ეგ კი არა და, ფეხზე საქართველოს დედაქალაქის მთელი უწყება დადგა.

„ბიჭი ადგილობრივი უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთი გავლენიანი ჩინოვნიკის შვილი იყო. სუფრაზეც „ოქროს თაობა“ იჯდა, გავლენიანი მამის შვილები, თუმცა ამ ბიჭის მამა მაინც გამორჩეული იყო. მილიციაში არაოფიციალურმა დაცვამ დარეკა. ჰო, დაცვამ, რომელიც მამამ, ყოველი შემთხვევისთვის, შვილს მიუჩინა და სწორედ დაცვას უნდა უზრუნველეყო ბიჭის შინ მშვიდობით მისვლა. არადა, სწორედ იმ დროს, როცა ბიჭი რესტორნიდან გავიდა, დაცვის ერთი წევრი საპირფარეშოში იყო გასული, მეორე – მანქანაში თვლემდა. განგაში ძალიან მალე ატყდა, მაგრამ რესტორანში, რომელიც ქალაქგარეთ მდებარებოდა, ბიჭი ვეღარ ნახეს. თანამდებობრივად, ვიღაც ლაწირაკის ძებნა, ნამდვილად არ შედიოდა ჩემს კომპეტენციაში, მაგრამ მე კი არა, მინისტრის მოადგილეებიც კი ლოგინებიდან წამოყარეს“, – იხსენებს გაუხმაურებელ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პრინციპში, ეს ისტორია მერე და მერე გახმაურდა, რადგან ბიჭს არა მარტო უშიშროების კომიტეტი და მილიცია, არამედ, ეძებდა ყველა და ყველგან, მთელი საქართველოს მასშტაბით.

როცა დაკარგული დილამდე ვერ იპოვეს, მამამისს, ლამის ისტერიკა დაემართა. რესტორნის დირექტორი დააკავეს, აიყვანეს მთელი პერსონალი, დაკითხვაზე წაიყვანეს სუფრის ყველა წევრი და არაოფიციალური დაცვის ორივე თანამშრომელი. რაც მთავარია, ისინი ჯერ მილიციამ დაკითხა, შემდეგ კი უშიშროების იზოლატორებში გადაანაწილეს.

„ვერ გეტყვი, რა უქნეს და უთხრეს იქ ბავშვებს, რომლებიც სუფრაზე იყვნენ, მაგრამ ფაქტია – იქიდან გამოსულები, სახლებში ჩაიკეტნენ და გარეთ გამოსვლის ეშინოდათ. სუფრის შვიდი წევრიდან, თავის მოკვლა სამმა სცადა, ერთმა თავი მოიკლა, ორი გადაარჩინეს. გადარჩენილებიდან ერთ-ერთი, ბიჭის შეყვარებული იყო, მაგრამ დაკარგულის მამა ამტკიცებდა, რა შეყვარებული, ჩემი შვილი, უბრალოდ, ერთობოდა, თორემ როგორ შეიძლებოდა, უბრალო ექთნისა და ზეინკლის შვილი შეჰყვარებოდაო? გოგოს მამას ინფარქტი დაემართა, დედა, ლამის ფსიქიატრიულში მოხვდა. საშინელება ხდებოდა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ ბიჭი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო, ის, უბრალოდ, გაქრა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დაკარგულის სურათი ყველა თანამრომელს ჯიბეში ედო და აჩვენებდა ნებისმიერ გამვლელს, გამყიდველს, კონდუქტორს, მოკლედ, ყველას, ვისაც კი საუბარი შეეძლო. გაუჩინარებიდან მეათე დღეს, ერთ-ერთმა მცხეთელმა ქალმა თქვა, ეს ბიჭი გუშინ ვნახე, ხელში პატარა ლეკვი ჰყავდა და ქუჩაში მისეირნობდა, ყურადღება კი იმიტომ მიიპყრო, ლეკვს ნაყინს აჭმევდაო. მამამ შვილის ძაღლებისადმი სიყვარული დაადასტურა და ეს საკმარისი გახდა, რომ მთელი მცხეთა წინდასავით ამოებრუნებინათ, საგულდაგულოდ დაეთვალიერებინათ ტყეები, საქმეში ვერტმფრენებიც კი ჩართეს, თუმცა ამაოდ. ქალი კი ჯიუტად იმეორებდა, ვნახე, ვნახეო, მაგრამ მისმა დაკითხვამ და სამძებრო სამუშაოებმა შედეგი ვერ მოიტანა.

გაუჩინარებიდან ერთი თვე გავიდა. დაკარგულის მამა უკონტროლო გახდა. მისი მოთხოვნითა და მითითებით, სამსახურიდან გაათავისუფლეს რესტორნის დირექტორი და მთელი პერსონალი, გათავისუფლებაცაა და გათავისუფლებაც – მისივე მითითებით, ვერცერთი მათგანი მუშაობას დარაჯად და დამლაგებლადაც კი ვერ იწყებდა. კომუნისტების დროს, უმუშევრად დარჩენა შიმშილს ნიშნავდა, მაგრამ ძლევამოსილი „კა-გებე“-ს წინააღმდეგ, ვერავინ მიდიოდა. სამსახურებიდან გაუშვეს სუფრის წევრთა უმრავლესობის მშობლები, ვისაც დაკარგულის მამა მოერია და თანამდებობრივად „გაუქაჩა“. უსამსახუროდ დარჩა შეყვარებულის დედ-მამაც და ისინი სოფლად გადასახლდნენ, თუმცა ამას შვება არ მოუტანია – თვეში ერთხელ, მათთან გამომძიებელი მიდიოდა და ერთადერთ კითხვას სვამდა – ხომ არ გაიხსენა გოგონამ ისეთი რამ, რასაც შეეძლო ძიებისთვის გეზი ეჩვენებინა. ერთ-ერთი ასეთი დაკითხვის დროს, გოგონამ გაიხსენა, რომ სუფრის წევრმა სხვა ბიჭმა, სიგარეტი ხიზილალით სავსე თეფშზე ჩააქრო, რაც დაკარგულს არ მოეწონა და შენიშვნა მისცა, მან კი აგდებულად უპასუხა და დაძაბული სიტუაცია სხვების ჩარევის შემდეგ განიმუხტა.

ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი იყო, არავის უხსენებია, მაგრამ უშიშროებისთვის სავსებით საკმარისი გამოდგა, რომ კონფლიქტის მონაწილე ბიჭი დაეკავებინათ და ორი კვირის განმავლობაში, „შესაბამისი წესით“ დაეკითხათ. მერე ამბობდნენ, დაკითხვიდან გამოსული ბიჭი ათი წლით დაბერებულს ჰგავდაო. ყოველი შემთხვევისთვის, ის და მისი ოჯახიც თბილისიდან აიყარა.

„ბიჭის გაუჩინარებიდან ორი წელი გავიდა, მაგრამ შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ძებნა ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. უშიშროების კომიტეტი ყოველდღიურ ანგარიშს ითხოვდა. გარდა იმისა, რომ დაკარგულის მამა იყო, უშიშროების ძალიან კარგი მუშაკიც გახლდათ და კიდევ უფრო დააწინაურეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა და ამოსუნთქვის შესაძლებლობა არ გვქონდა. ეს გასაგებიც იყო, კაცი ერთადერთ შვილს ეძებდა, ნებისმიერ ძაფსა და იმედს ებღაუჭებოდა, მაგრამ მისი დამნახავი მოწმე, უბრალოდ, არ გვყავდა და მხოლოდ იმ ქალის სიტყვების გადამოწმებამ არაფერი მოგვცა. პირადად მე, ხელი მქონდა ჩაქნეული, დარწმუნებული ვიყავი, რომ ბავშვს უბედურება შეემთხვა – ვიღაცამ მოკლა, ან შემოაკვდა, ან დამარხეს, ან სიმძიმე მოაბეს და წყალში გადააგდეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან 12 წელი გავიდა. რაღა თქმა უნდა, დაკარგულს აღარავინ ეძებდა, მხოლოდ სამსახურეობრივ პენსიაზე გასასვლელად გამზადებული მამა თუ მოიკითხავდა ხოლმე ნახევარ წელიწადში ერთხელ შვილის ამბავს, მაგრამ ახალს ვერაფერს ეუბნებოდნენ...

ერთ დღეს, მილიციაში შეტყობინება შევიდა. ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი ქალის ცემით დასრულდა და თან ისე, რომ მას ცხვირი ჰქონდა გატეხილი და თვალიც გვარიანად შეშუპებული. ოჯახური კონფლიქტები, როგორც წესი, უბნის რწმუნებულის საქმე იყო, მაგრამ დაზარალებულის ქმარი, თბილისის ერთ-ერთი რაიონის სამძებრო განყოფილების უფროსი გახლდათ და ამიტომ, ადგილზე მაღალჩინოსნები გავიდნენ. მოულოდნელად, ქალმა უშიშროების თანამშრომელთან გასაუბრება მოითხოვა, მილიციას არ ვენდობი, ისეთი რამ უნდა ვთქვა, სხვას ვერ გავანდობო. თავიდან მისი თხოვნა ყურად არ იღეს, მაგრამ როცა ქალმა თქვა, საქმე 12 წლის წინ დაკარგულ ბიჭს ეხებაო, ლამის მთელი უშიშროება საავადმყოფოში მივიდა.

„ის ბიჭი ჩემმა ქმარმა მოკლა. ზუსტად ვიცი, მან მოკლა, ნასვამს წამოსცდა ერთხელ. მანქანა დააჯახა, შემდეგ სალონში შეათრია, პასპორტით მიხვდა, ვის დაეჯახა და იმის მიუხედავად, რომ ბიჭი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სალონში, თავში ტყვია ესროლა და მერე სადღაც, გორისკენ დამარხა“, – დაახლოებით ეს იყო, რაც ქალმა თქვა და რა ძნელი მისახვედრია, მილიციის მაღალჩინოსანი დაკითხვაზე რომ წაიყვანეს.

„ათი დღე მიმდინარეობდა დაკითხვა, ათი დღე არაფერს ამბობდა და უარყოფდა მომხდარს, თუმცა შემდეგ ვერ გაუძლო და ის ადგილი დაასახელა, სადაც გვამი დამარხა. ბიჭის მამამ თქვა, ჩემს შვილს უკანა ორი კბილი ოქროსი ჰქონდა, მარტივად ამოვიცნობო. მითითებული საფლავი გათხარეს და ადამიანის ჩონჩხი ნახეს, თუმცა... მას თავი არ ჰქონდა. დაკავებულის დაკითხვამ ორ თვეს გასტანა, მაგრამ ამტკიცებდა, მე თავიანი დავმარხე, დანარჩენი არაფერი ვიციო. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ გარდაცვლილის ძვლები 20-დან 25 წლამდე ახალგაზრდას ეკუთვნოდა და არ იყო მედიცინის სფერო იმ დონეზე, ასი პროცენტით ეთქვა, რომ ეს სწორედ ის ჩონჩხი იყო, ვისაც ვეძებდით. დაკავებული სამართალდამცავი ქრთამის აღების ბრალდებით გაასამართლეს, ბიჭის მკვლელობა, უბრალოდ, ვერ წაუყენეს ბრალად იმიტომ, რომ მისი ცოლის მონაყოლის გარდა, დამამტკიცებელი საბუთი არ იყო, ის ჩონჩხი კი... დაკარგულის მამამაც თქვა, არ მჯერა, რომ ჩემი შვილიაო. პენსიაზე ისე გავედი, ამ საქმეზე მეტი არაფერი გამიგია“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

მოსამართლე ქალის გვამი მტკვარში იპოვეს

ბათო ჯაფარიძე

ვინ დაგეგმა მკვლელობა და რატომ ვერ დასაჯეს დამნაშავე

მტკვრის ცოცხალი თევზი ყოველთვის ფასობდა და ბრაკონიერებიც ყოველთვის იყვნენ. სამწუხაროდ, ახლა ტექნიკა დახვეწეს და, დენთან ერთად, საქმეში ათასგვარი ბადე თუ მომწამვლელი ნივთიერებაც ჩართეს. არადა, ადრე მართლა მარტივი იყო – ბრაკონიერები, ძირითადად, ჩასაკიდებელ ბადეებს დებდნენ მტკვრის მდორე ადგილებში. ჩაკიდებულ ბადეებს ღამით ამოწმებდნენ ანუ მაშინ, როცა ვერავინ ხედავდა და უკვე დილით, მოხარშული და დაფასოებული მტკვრის ცოცხალი ბაზარში იყიდებოდა.

„გაზაფხულის მიწურული იყო, როცა განყოფილებაში ზარი გაისმა. კაცი ბოლო ხმაზე ყვიროდა, სასწრაფოდ მოდით, მტკვარში მანქანა გადავარდა და უშველეთო. ადგილზე, ოპერატიულ ჯგუფთან ერთად, სასწრაფო დახმარებაც წავიდა. მანქანა წყლიდან მალე ამოიყვანეს, შიგნით, მგზავრის ადგილზე, ქალის გვამი იყო, მძღოლი კი არსად ჩანდა. ის, რომ მძღოლი მამაკაცი გახლდათ, სალონში, მძღოლის მხარეს ნაპოვნმა მამაკაცის ფეხსაცმელმა დაადასტურა. მოვიდნენ მყვინთავებიც, თუმცა ვერაფერი იპოვეს. მილიციაში ადგილობრივმა ბრაკონიერმა დარეკა, რომელიც ბადეების სანახავად იყო მისული, დაინახა, ავტომობილმა მართვა როგორ დაკარგა, როგორ ჩავარდა წყალში და მაშინვე დასარეკად წამოვიდა. ვიცი, დასაჭერი ვარ ბრაკონიერობაზე, მაგრამ გულმა არ მომითმინა და დავრეკეო, ისე გულწრფელად თქვა, ხელი ავუქნიეთ და სახლში გავუშვით, თუმცა მეორე საღამოს, მან კვლავ დარეკა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ბრაკონიერი კვლავ შემთხვევის ადგილზე მისვლას ითხოვდა. სამართალდამცავები დაუყოვნებლივ წავიდნენ, რადგან გარდაცვლილი ქალი მოსამართლე გახლდათ და ეს რიგითი შემთხვევა არ იყო. სავარაუდოდ, საჭეს მისი ქმარი მართავდა, რომელიც ვერც მყვინთავებმა იპოვეს და ზოგადად, მისი კვალი, უბრალოდ, გაქრა. ბრაკონიერმა, გამომძიებლებს, დაახლოებით, ერთმეტრიანი ფიცარი ანახა, რომელსაც ათობით ლურსმანი ჰქონდა ჩარჭობილი, ეს ჩემს ბადეში იყო გახვეული, სავარაუდოდ, ავტომობილს შეგნებულად დაუდესო. ისედაც ცხადი იყო, ასეთი ფიცარი შემთხვევის ადგილზე თავისით ვერ აღმოჩნდებოდა და ექსპერტებმაც დაადასტურეს, საბურავებით სწორედ ამ ფიცარზე გადაიარეს, რის შემდეგაც გასკდა, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გადავარდაო.

ეს უბედური შემთხვევა აღარ იყო, ეს მკვლელობა გახლდათ და თან მოსამართლის მკვლელობა. ამიტომ, საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს.

ღამით, იმ მონაკვეთში, მანქანას სწრაფად რომ წაიყვანდა მძღოლი, ადვილი მისახვედრი გახლდათ. ისიც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ქმარი ვერ გარისკავდა ასეთ რამეს, ვერ მოკლავდა ცოლს იმის იმედად, რომ თავად გადარჩებოდა ანუ ვიღაცამ ცოლიცა და ქმარიც გაიმეტა, მაგრამ სად იყო კაცი, არავინ იცოდა.

სამართალდამცავებმა ივარაუდეს, რომ საფრთხე მოსამართლის ერთადერთ ქალიშვილს, სამედიცინო ინსტიტუტის 19 წლის სტუდენტსაც ემუქრებოდა და მის სახლთან, მორიგეობა დააწესეს. გოგონას დედა დაეღუპა, არ იცოდა, სად იყო მამა და შავებით გახლდათ შემოსილი. გამოძიებამ ისიც გაარკვია, რომ დაახლოებით, ერთი წლის წინ, ოჯახი გაზით მოიწამლა. მაშინ ყველაფერი უბედურ შემთხვევას დაბრალდა, მაგრამ მილიციას ეჭვი გაუჩნდა, რომ ოჯახის ამოწყვეტას ვიღაც ჯიუტად ცდილობდა. მართალია, გაზით მოწამვლა უბედურ შემთხვევას დაბრალდა, მაგრამ ახლა გამოძიებამ, ეს საქმე ახლიდან ამოსწია.

„არქივში პირადად წავედი და საქმეს ახლიდან გავეცანი. ყველაფერი თითქოს შემთხვევით მოხდა – ღამით ოჯახმა ჩაის დალევა გადაწყვიტა, ჩაიდანი გაზქურაზე დადგეს, შემდეგ, ტელევიზორს მიუსხდნენ, ჩაიდანი ადუღდა, წყალმა ანთებული ქურა ჩააქრო და ჯერ სამზარეულო, შემდეგ კი მისაღები გაზით გაივსო. გაზის სუნი მეზობელმა იგრძნო, რომელიც ძაღლს ასეირნებდა. დააკაკუნა და რადგან კარი არავინ გაუღო, მილიციაში დარეკა. სწორედ მილიციამ გადაარჩინა მაშინ მოსამართლეცა და მისი ქმარ-შვილიც. ცოლ-ქმარი უგონო მდგომარეობაში დივანზე, ჩართული ტელევიზორის წინ იპოვეს, გოგონა კი საძინებელში იყო და მართალია, თვალებს ახელდა, საუბარი არ შეეძლო და პირველი სიტყვა მხოლოდ სამი დღის შემდეგ თქვა. საბედნიეროდ, მაშინ ცოლ-ქმარიც გადარჩა. ერთადერთი, რაც ვერ გავიგე, ექსპერტიზის დასკვნა იყო, რომლის მიხედვითაც, ცოლ-ქმრის სისხლში მომწამვლელი გაზის დიდი ოდნეობა იყო, გოგონას სისხლში კი – იმდენად უმნიშვნელო, რომ ის შეიძლება, ნებისმიერს, ელემენტარულად, სამზარეულოში შესვლის შემდეგ ჰქონდეს. ამიტომ, ექსპერტის სანახავად წავედი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ექსპერტმა იგივე გაიმეორა, გოგონას სისხლის სუფთა იყო და მიკვირდა, რატომ ვერ საუბრობს-მეთქი? ყველაფერი ეს, შოკს დავაბრალე, მაგრამ იმას კი ვერ მივხვდი, როცა მილიცია კარს ამტვრევდა, რატომ არ ადგა და არ გაუღო? ალბათ, ეგეც შოკის ბრალი იყოო. გამომძიებელი გოგონას ესტუმრა და რბილად, თუმცა მაინც გამოჰკითხა ერთი წლის წინ მომხდარის დეტალები და მანაც ყველაფერი ისე მოუყვა, როგორც მილიციის პატაკში ეწერა, საკუთარ სისხლში გაზის არარსებობა კი ვერ ახსნა, შიშით ვერ ვინძრეოდი და ვერ ვსაუბრობდიო. რაც შეეხება ოჯახის მტრებს, მხრები აიჩეჩა, ეგებ, დედამ ვინმეს არასწორი განაჩენი გამოუტანაო. სამართალდამცავები ამ მიმართულებით ისედაც მუშაობდნენ. გარდაცვლილი მოსამართლის მიერ გასამართლებული პატიმრებიდან, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, მხოლოდ ორი იყო გათავისუფლებული, მაგრამ გარდა იმისა, რომ ორივეს რკინის ალიბი ჰქონდა, მკვლელობაზე წამსვლელი არცერთი ყოფილა. სხვები კი ან ხანგრძლივი ვადით იყვნენ გისოსებს მიღმა, ან დიდი ხნის წინ გათავისუფლდნენ.

სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილი კიდევ ერთხელ დაათვალიერეს და ავარიის ადგილიდან, დაახლოებით, 30 მეტრში, მეორე ფეხსაცმელი იპოვეს. გამოდის, კაცმა წყლიდან ამოსვლა მოახერხა, მაგრამ სად წავიდა და რატომ? ჯერჯერობით, ის გახდა ერთადერთი ეჭვმიტანილი და ქვეყნის მასშტაბით, მასზე ძიება გამოცხადდა. პარალელურად, გამომძიებელმა კიდევ არაერთ ექიმთან გაიარა კონსულტაცია და ყველამ დაუდასტურა, გოგონას გაზი აუცილებლად უნდა ჰქონოდა ნაყლაპი, ის ან გვიან მივიდა სახლში, ან როცა გაზი ჟონავდა, აივანზე იყოო. მის ოთახს აივანი არ ჰქონდა, ფანჯარაში დგომა კი... ბატონი თენგიზი მოსამართლის შვილის დასაკითხად კიდევ ერთხელ წავიდა, თუმცა ახალი ვერაფერი გაარკვია.

„შინ გაწბილებული დავბრუნდი, წინათგრძნობა მეუბნებოდა, რომ მოსამართლის ქმარს ტყუილად ვეძებდი და სიმართლე გოგოს უნდა სცოდნოდა. ამ ფიქრებით მივედი სადარბაზოსთან, როცა გვერდით ახალგაზრდა ბიჭი ამომიდგა და გვერდში დახვეული გაზეთი ძალუმად მატაკა. ცოტა მეტკინა და ბიჭს შევუბღვირე, ის კი გაიქცა. ანგარიშმიუცემლად გავეკიდე და დაახლოებით, 30 მეტრის შემდეგ, მხარში ჩავავლე ხელი. ის მოტრიალდა და ისევ გაზეთი მატაკა. ამჯერად უფრო მეტკინა და ჩავიკეცე, ბიჭი კი გაიქცა. სისხლით მივხვდი, ორივეჯერ, გაზეთში გახვეული დანა დამარტყა და მშველელი დროზე თუ არ გამოჩნდებოდა, მოვკვდებოდი. საბედნიეროდ, მეზობელმა დამინახა, სისხლის გუბეც შეამჩნია და სასწრაფოში დარეკვის ნაცვლად, სავადმყოფოში თავად გამაქანა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო – გადავრჩი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, გამომძიებელმა ყველა იმ პირის სურათი შეისწავლა, რომელიც გარდაცვლილმა მოსამართლემ ციხეში გაუშვა, მაგრამ მისი დამჭრელი ვერ ამოიცნო, თანაც ექიმებმა უთხრეს, ვინც დანა დაგარტყა, ადამიანის ანატომიას კარგად იცნობს, პირველ ჯერზე, გულის მხარეს ეცადა, მაგრამ ნეკნმა შეაჩერა, მეორე ჯერზე – ღვიძლს დაუმიზნა, მაგრამ ძალა არ ეყოო. ახალი ხელჩასაჭიდი კვლავ არაფერი იყო და ამიტომ გამომძიებელი ისევ გარდაცვლილი მოსამართლის შვილის გარშემო ტრიალებდა. ბატონმა თენგიზმა გადაწყვიტა, სამედიცინო ინსტიტუტში მისულიყო და გოგონას მეგობრების შესახებ მისი კურსელებისგან თუ არა, ლექტორებისგან მოესმინა. ყველაზე დიდი სიურპრიზიც, სწორედ იქ ელოდა.

„როცა ინსტიტუტში მივედი, შესასვლელშივე წარჩინებული სტუდენტების სურათები დამხვდა. დაკვირვებით შევათვალიერე, მაინტერესებდა, მოსამართლის შვილი იყო თუ არა მათ შორის და გავშეშდი – ერთ-ერთი ფოტოდან ის ბიჭი მიყურებდა, რომელმაც დანა გამიყარა. რექტორის კაბინეტისკენ გავეშურე და ბიჭის ვინაობა ვიკითხე. იმ დღეს ინსტიტუტში არ იყო, თუმცა სახლის მისამართი მომცეს და მეც, ოპერმუშაკებთან ერთად, მაშინვე შინ დავადექი. როგორც კი გაიგო, რომ მილიცია ეძებდა, მესამე სართულიდან გადახტა. ეს არ იყო გაქცევის მცდელობა, ეს თვითმკვლელობის მცდელობა გახლდათ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სტუდენტი მძიმედ დაშავდა, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა მოახერხეს და სამ დღეში, სამართალდამცავებს დაკითხვის შესაძლებლობაც მისცეს.

„მოსამართლის შვილი სიგიჟემდე მიყვარს. რეალურად, ის კაცი მისი მამინაცვალი იყო, არ ვიცი, რა და როგორ მოხდა, მაგრამ მამინაცვალია, რა. ჰოდა, ჩემმა შეყვარებულმა მითხრა, მამინაცვალი მავიწროვებს, ჩემთან სიახლოვე უნდა, დედაჩემი კი იმდენადაა მისი სიყვარულით დაბრმავებული, ჩემი არ სჯერა და რომც ვუჩივლო, დედა მოსამართლეა, ციხეში არ გაუშვებსო. ამიტომ მოვიფიქრეთ ლურსმნიანი დაფის დადება. იმ დღეს, ისინი აგარაკზე იყვნენ, მაგრამ ღამით გოგომ დაურეკა, ცუდად ვარო და ისინიც გიჟებივით გამოვარდნენ, გზაში კი მე ველოდი. კაცი გადარჩა, დავინახე, როგორ ამოყვინთა და გაცურა, სხვა კაციც დავინახე, რომელიც დასარეკად გაიქცა და ჩემი საცოლის მამინაცვალს დანა დავარტყი. მთელი ღამე ვათრიე ზურგით და, დაახლოებით, ერთი კილომეტრის მოშორებით დავმარხე“, – ეს არის ჩვენების ფრაგმენტი, რომელიც სტუდენტმა მისცა.

როგორც გაირკვა, არანაირ შევიწროვებას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, მოსამართლე დედა, შვილს მკაცრად ზრდიდა და მას კიდევ მეტი თავისუფლება სურდა. ამიტომ მოიფიქრა გეგმა, რომლითაც, მისი აზრით, დედას მოიშორებდა, მამინაცვალი კი თუ გადარჩებოდა, მარტივად მიუთითებდა კარისკენ. საბოლოო ჯამში, ვერავის გასამართლება ვერ მოხერხდა. სტუდენტი ჩვენების მიცემიდან ორ დღეში, შინაგანი სისხლდენით, მოულოდნელად გარდაიცვალა, გამოძიებამ კი ძვირფასი მოწმე დაკარგა და გოგონას რეალურად ვერაფერი დაუმტკიცეს. ბატონმა თენგიზმა ვერც ის დაამტკიცა, რომ ერთი წლით ადრე, გოგონამ შეგნებულად სცადა მშობლების გაზით გაგუდვა და არ გამოუვიდა. როცა ბატონ თენგიზს ვკითხეთ, ის გოგო დღეს თუ მუშაობს ექიმად-თქო, თავი დაგვიქნია, დაახლოებით, ორი წლის წინ, ტელევიზორში ვნახე, რაღაც თემაზე კომენტარს აკეთებდა, სახელითა და გვარით ვიცანიო.

ქალაქის პროკურორი საკუთარი სახლის კართან ჩაცხრილეს

რა წარწერა დატოვა დამნაშავემ შემთხვევის ადგილზე

ბათო ჯაფარიძე

კომუნისტების დროს, პრაქტიკულად, ყველა სრულწლოვანი ბიჭი ვალდებული იყო, სამხედრო სამსახური გაევლო. იშვიათად, თავი ვინმეს დაეხსნა და გამოსავალი მხოლოდ იმ სასწავლებელში ჩაბარება გახლდათ, რომელსაც სამხედრო კათედრა ჰქონდა. ასე იკრიბებოდნენ 15 სახელმწიფოს შვილები ჯარში, გვერდი-გვერდ, მინიმუმ, ორ წელს ატარებდნენ, მეგობრობდნენ, ურთიერთობა ჰქონდათ, სტუმრად დადიოდნენ. ამიტომ, არავის უკვირდა, თუ ჯარში ნამყოფი კაცი იტყოდა, მეგობარი ყაზახეთში, ბელორუსში, უკრაინაში, ან საერთოდ, ციმბირში მყავსო. ჯარის მეგობრობა მტკიცე და მყარი გახლდათ.

„ჯარში ბელორუსში ვმსახურობდი. რა თქმა უნდა, ჩემს გარდა, ასეულობით ჯარისკაცი იყო და ურთიერთობა ყველასთან ვერ გექნებოდა. ამიტომ, ქართველები, ძირითადად, ერთად ვიყავით, ყაზახები, ყირგიზები, ტაჯიკები და უზბეკები – ერთად, ბალტიისპირელები ცალკე და ა.შ., თუმცა ერთი ყირგიზი ბიჭი, ამურბეკ ომურჟანოვი მოგვეკედლა ქართველებს, ნამდვილი ვაჟკაცი იყო, არ გვშორდებოდა და დავუახლოვდით. მეტსახელად, „უზგენას“ ვეძახდით, რადგან წარმოშობით, ყირგიზეთის ქალაქ უზგენიდან იყო და ამბობდა კიდეც, რომ ჩავალ, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარებ, პროკურორი გავხდები და ჩემს ქალაქში კანონის უზენაესობას დავამყარებო. მაშინ ამაზე ბევრს ვიცინოდით, თუმცა ჯარის დასრულების შემდეგ, მეც იურიდიულზე ჩავაბარე, ამურბეკმაც და ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებოდით. წლების შემდეგ, მე განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი გავხდი, ის – ქალაქ უზგენის პროკურორი და ძალიან მიხაროდა, რადგან მას კანონის მოყვარული, პრინციპული და მოუქრთამავი კაცის სახელი ჰქონდა“, – იხსენებს მეგობრის ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

1984 წლის ზაფხული იდგა, როცა ბატონ თენგიზს დაურეკეს და უთხრეს, თქვენი მეგობარი გარდაიცვალა, გასვენებაში თუ ჩამოხვალთ, დიდად დაგვაფასებთო.

„წაუსვლელობა არც მიფიქრია. მაშინვე გავემზადე და თან იმას ვფიქრობდი, ახალგაზრდა კაცი რამ მოკლა-მეთქი. წინათგრძნობით მივხვდი, რაღაც მოხდა და სამსახურში გადავრეკე, ვთხოვე, ამ თემაზე ინფორმაცია ყირგიზი კოლეგებისგან გამოეთხოვათ და ლამის გული გამისკდა – ქალაქ უზგენის პროკურორი, ამურბეკ ომურჟანოვი საკუთარ სახლში მოკლეს. მეორე დღეს, უზგენში ვიყავი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივი იყო. საღამოს, კარზე კაკუნი გაისმა, ამურბეკმა კარი გააღო, მისი 16 წლის შვილი საშინაო დავალებას წერდა და ორი გასროლის ხმა, სწორედ მან გაიგო. როცა კართან მივიდა, იატაკზე წაქცეული მამა დახვდა, მკვლელი კი გაქცეული იყო. სასწრაფო დახმარება მალე მივიდა, თუმცა ექიმები იქვე რომ ყოფილიყვნენ, პროკურორის გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდებოდა – მას ორივე ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი. ყირგიზეთის მთელი მილიცია ადგილზე იყო, პროკურორის მკვლელობა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რეზონანსული ამბავი გახლდათ, ამიტომ საქმის გამოძიება უმოკლეს ვადებში მოითხოვეს, მოსკოვიდან დამატებითი ძალები გააგზავნეს და გამოცდილი ქართველი მაძებარიც სამუშაო მივლინებით იქ დატოვეს.

მკვლელი აშკარად თავზეხელაღებული გახლდათ. ჯერ ერთი, პროკურორთან შინ მისვლასა და კარში სროლას ბევრი ვერ გაბედავდა და მეორეც, სადარბაზოს დაფაზე, სადაც ძირითადად აგიტატორული განცხადებები იყო ხოლმე გამოკრული, რომელიც ეზოს დალაგებასა და შაბათობებს ეხებოდა, ახალი ფურცელი იყო მიწებებული, სადაც ეწერა: „არასწორი ბრალდების გამოტანის გამო, პროკურორი ამურბეკ ომურჟანოვი გასამართლდა და სასჯელის ზომად მიესაჯა დახვრეტა“.

საგამოძიებო ჯგუფმა მალე გაარკვია, რომ წინა დღით, იზოლტორიდან სამი კაცი გაიქცა. გაქცევისას, მათ სადარაჯოზე მდგომი ჯარისკაცი მოკლეს და მიიმალნენ. გაქცეულებიდან ორი – ბინის ქურდი იყო, ერთი – მილიციის თანამშრომელი.

„გამორიცხეთ სამივე, რადგან ისინი ომურჟანოვს არ დაუკავებია და არც გაუსამართლებია. რაც შეეხება მილიციის თანამშრომელს, ბულატ ხალიბეკოვი ჩვენი ქალაქის თვალი და გულია, ყველას უყვარს, ყველა პატივს სცემს. სანადიროდ იყო, გარემოს დამცველებმა დააკავეს, არ იცოდნენ ვინ იყო, იზოლატორში მიიყვანეს და ალბათ იმიტომ გაიქცა, რომ არ უნდა, ის ორი ქურდი თვალთახედვის არედან დაეკარგოს, ორივეს შეკოჭილს მოიყვანს“, – ასეთი იყო ადგილობრივი მილიციის ვერსია.

გამოძიებამ მალე დაადგინა, რომ მკვლელობამდე ორი დღით ადრე, პროკურორი ქორწილში იყო, სადაც ცხენი მოეწონა და მის მფლობელს დიდი ფული შეაძლია, თუმცა მან უთხრა, ცხენს სხვაზე ვარ შეპირებულიო. მაშინ პროკურორმა თქვა, მე და ის სხვა ჯირითში შევეჯიბრებით და რომელიც გაიმარჯვებს, ცხენიც მას დარჩებაო. გამოცდილმა ცხენოსანმა, ომურჟანოვმა ჯირითი მარტივად მოიგო და დამარცხებული დაემუქრა, ცხენი მაინც ჩემი იქნებაო. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი დააკავეს, მაგრამ ორ საათში გაათავისუფლეს. როგორც გაირკვა, ცხენის წაგებამ დაანაღვლიანა, დათვრა, იჩხუბა და იმ დროს, როცა პროკურორს ესროლეს, მილიციის ადგილობრივ განყოფილებაში, გამოსაფხიზლებელში იჯდა.

„გაქცეული მილიციის თანამშრომლის კეთილსინდისიერებაში ეჭვი დღითი დღე მძაფრდებოდა. ის არსად ჩანდა, არც ის ორი გამოჩენილა სადმე, ამიტომ ჩემი მეგობრის საქმის პარალელურად, ძალიან დაინტერესებული ვიყავი, სწორედ მათი პოვნით. ამის საფუძველი ნამდვილად მქონდა. როგორც გაირკვა, გაქცევის წინა დღეს, ამურბეკმა, მოულოდნელად, სწორედ ეს განყოფილება შეამოწმა. ის გაოცდა, როცა დაინახა, რომ დაკავებული ბულატ ხალიბეკოვი, საკნის ნაცვლად, ოთახში იჯდა, ქეიფობდა და გვარიანად მთვრალი იყო. მილიციამ თავი იმართლა, ჩვენი მეგობარია, მოშივდა და გამოვიყვანეთო, თუმცა პროკურორისთვის ეს მიუღებელი გახლდათ. მან მაგიდა ააყირავა და ფლავით სავსე ქვაბი, სწორედ ხალიბეკოვს ჩამოემხო თავზე. მაშინ უთქვამს დაკავებულს, ამ შეურაცხყოფას არ გაპატიებო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მკვლელობიდან ერთი კვირა იყო გასული, როცა მილიციის განყოფილებაში დარეკეს, დაჭრილი მწყემსი მოიყვანეს და ამტკიცებს, ბულატ ხალიბეკოვმა მესროლაო. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავები საავადმყოფოში წავიდნენ.

„ერთი კვირაა, მე და ჩემი 13 წლის შვილი, ხალიბეკოვსა და კიდევ ორ კაცს მძევლად ვყავართ მთაში. ისინი ჭამენ, სვამენ და ამბობენ, რომ ორი თვის შემდეგ წავლენ. მე შემეშინდა, ღამით შვილი გავაპარე და როცა ეს ხალიბეკოვმა გაიგო, მესროლა. დაჭრილი ცხენით გამოვიქეცი, მერე გრძნობა დავკარგე და საავადმყოფოში გამეღვიძა. შვილი მიპოვეთ, შვილი“, – ყვიროდა მწყემსი.

ოპერმუშაკები მთაში გაემართნენ, მაგრამ იქ აღარავინ დახვდათ. კარავში ცეცხლი ენთო ანუ გაქცეულები შორს არ უნდა ყოფილიყვნენ. საქმეში ვერტმფრენი ჩაერთო და ბინის ქურდები მალევე აიყვანეს, ხალიბეკოვი კი არსად ჩანდა.

„ჩვენ გაქცევა არც გვიფიქრია, მან აგვიყოლია და წაგვიყვანა. ჯარისკაციც მან მოკლა, პროკურორიც. ჩვენ დაბლა ველოდით, როცა თქვა, პროკურორს მოვიკითხავ და წავიდეთო. რა ვიცოდით, თუ სროლას აპირებდა? გვეშინოდა მისი და ამიტომ ვერ ვშორდებოდით. როცა მწყემსი გაგვექცა, დაგვიბარა, დამელოდეთ, მალე დავბრუნდებიო. ცეცხლი დავანთეთ, მერე მივხვდით, რომ აღარ დაბრუნდებოდა და გავიქეცით“, – ერთმანეთს ასწრებდნენ ისტორიის მოყოლას ქურდები.

ახლა მილიციამ მკვლელის სახელი იცოდა. დაიწყო მისი საახლობლო წრის შესწავლა და ვინმე გალინა კალმიკოვას გვარი ამოტივტივდა. ეს ქალი ქმარ-შვილიანი გახლდათ, მაგრამ რამდენიმე ადამიანმა დაადასტურა, ხალიბეკოვის საყვარელიაო. გალინას თვალთვალი დაიწყო და ერთ დღეს, მან მიყრუებული სოფლისკენ აიღო გეზი, მიტოვებულ სახლში შევიდა და როცა იქ სამართალდამცავები შევარდნენ, არავინ დახვდათ. მკვლელმა ისევ ერთი ნაბიჯით გაასწრო. სამაგიეროდ, კალმიკოვა დაკითხეს და მან აღიარა, რომ ხალიბეკოვი ტაშკენტში წასვლას აპირებდა, იქიდან კი თურქეთში უნდა გამგზავრებულიყო. ტაშკენტში მკვლელს შორეული ნათესავი ჰყავდა და სწორედ მის სახლში მოხერხდა დაკავება. სხვათა შორის, ხალიბეკოვმა სამართალდამცავების დანახვაზე „მაკაროვი“ პირში ჩაიდო და გამოკრა, თუმცა იარაღი არ გავარდა.

„მერე გავიგეთ, ხალიბეკოვის ბავშვობის მეგობარს, რომელიც ასევე მილიციაში მუშაობდა, მისთვის რაცია მიუცია და ის იგებდა ყველაფერს, რასაც ჩვენ გადავცემდით. შესაბამისად, მან ზუსტად იცოდა, სად მივდიოდით, როგორ ვეძებდით და ყოველთვის ერთი ნაბიჯით გვასწრებდა.

რაც შეეხება თვითმკვლელობის მცდელობას, ხალიბეკოვმა ზუსტად გათვალა – პროკურორის მკვლელობისთვის, მას ცოცხალს არავინ დატოვებდა. სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა. კალმიკოვას დამნაშავის დაფარვისთვის 7-წლიანი სასჯელი ერგო, ხოლო მკვლელის მეგობარ მილიციის თანამშრომელს – 11 წელი“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 634 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 634 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, 102 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21.00 საათიდან დილის 5.00 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, 1 359 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 173 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმას – 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა, ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და ასკ-ის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პოლიციამ აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკები, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვ.ე. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი, კუთვნილი ავტომობილისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბუპრენორფინის“ შემცველი 535 აბი ნარკოტიკული საშუალება, „ბუპრენორფინისა“ და „მეტადონის“ შემცველი ხსნარებით 4 საინექციო შპრიცი, „COMBAT-PP“-ისა და „ZORAKI M 906“-ის მოდელების ცეცხლსასროლი პისტოლეტები, ხელყუმბარა, ხელყუმბარის შვიდი ფალია და 82 ვაზნა. ასევე, ამოღებულია დიდი ოდენობით თანხა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 273-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

იმერეთში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილ პოლიციელს, მინისტრის სახელით, ჯილდო გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, სულხან თამაზაშვილმა, ამავე დეპარტამენტის ვანის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსი, დავით ახობაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით დააჯილდოვა.

ახობაძეს სამსახურებრივი მოვალეობის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის, „გლოკის“ მოდელის პისტოლეტი გადაეცა.

პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ახობაძე, მიმდინარე წლის 5 მარტს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიჭრა. სუიციდის მცდელობის შესახებ მიღებულ შეტყობინებაზე გასულ პოლიციელებს, სანადირო თოფით შეიარაღებულმა, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მოქალაქემ ესროლა, რის შედეგადაც, ვანის პოლიციის უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსმა ჯანმრთელობის მრავლობითი დაზიანება მიიღო. პოლიციამ ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავა, დაჭრილი დავით ახობაძე კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

ამჟამად, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, დავით ახობაძე მკურნალობას სახლში განაგრძობს. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ გორის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1952 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზ.მ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, შურისძიების მოტივით, თანასოფლელი – 1972 წელს დაბადებული ვ.ნ., ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, გულ-მკერდის არეში სასიკვდილოდ დაჭრა და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებულ ქ.ნ., პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ლაგოდეხში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქ.ნ-მ, პოლიციის თანამშრომელს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ცივი იარაღით, ხელის არეში დაზიანება მიაყენა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

police.ge

ცუდი ამბავი – კვარაცხელია დაიმტვრა

რუსული პრემიერლიგის მორიგ ტურში, „ურალისა“ და „რუბინის“ მატჩის 32-ე წუთზე, სტუმართა გუნდის ლიდერი და საქართველოს ნაკრების მთავარი იმედი, ხვიჩა კვარაცხელია დაშავდა. მან მოედანი ექიმების დახმარებით დატოვა და რაც მთავარია, ტრავმის დროს, ხვიჩა თავად დაეცა, მას არავინ შეხებია. თავიდან საუბარი მძიმე ტრავმაზე იყო, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ხვიჩა ნახევარ თვეს გამოტოვებს და მიმდინარე სეზონშში, გუნდის დახმარებას კიდევ შეძლებს.

კვარაცხელიას შეძენა არაერთ ევროპულ გრანდს სურს, მისი აგენტი მოლაპარაკებებსაც აწარმოებს და არსებობს შანსი იმისა, რომ ტრავმის გამო, მოლაპარაკებები ჩიხში შევიდეს. არადა, რუსეთს გაყინულ მოედნებზე, კვარაცხელიას ტრავმის მიღების გარეშე თამაში რომ გაუჭირდება, ცხადზე ცხადია. ამიტომ, მან რუსული პრემიერლიგა, რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს. წლევანდელ სეზონში, კვარაცხელია მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ხუთ შეხვედრაში დასახელდა, რაც რუსულ პრემიერლიგაში საუკეთესო შედეგია.

გუნდური პირველი ადგილი და... მეტი შეგვეძლო

ლისაბონში, ძიუდოისტთა შორის, ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. თავიდანვე ვთქვათ – სტატუსის მიუხედავად, არა მხოლოდ ევროპის, არამედ, კარს მომდგარი მსოფლიო ჩემპიონატიც, ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილება. მით უმეტეს, ისეთი ნაკრებისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც თითოეულ წონაში, ოლიმპიადაზე წასვლის პრეტენზია, მინიმუმ, ორ ძიუდოისტს აქვს. შედეგად, კონტინენტის პირველობაზე, ბევრს უნდა დაემტკიცებინა საკუთარი შესაძლებლობები.

ქალებით დავიწყოთ და აღვნიშნოთ, რომ რეალურად, დღეს ეროვნულ გუნდში, ეთერ ლიპარტელიანის გარდა, მედალზე პრეტენზია თითქმის არავის აქვს. ლიპარტელიანი მესამე ადგილისთვის ჭიდაობდა, მაგრამ ბრინჯაოს ვერ შესწვდა.

რაც შეეხებათ კაცებს. პირველი მედალი ჩვენს გუნდს ვაჟა მარგველაშვილმა მოუტანა. -66კგ-ში მოასპარეზე ძიუდოისტმა ფინალამდე დამაჯერებლად იარა, იქ კი იტალიელ მანუელ ლომბარდოსთან დამარცხდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია -90კგ. ამ წონაში ნაკრებს ორი თანაბარი ძალის ძიუდოისტი ჰყავს – გამოცდილი ბექა ღვინიაშვილი და ახალგაზრდა ლაშა ბექაური. ქართველები ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ და ბექაურმა იმარჯვა. ამით მან ოლიმპიადისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილი მაინც არაფერია.

+100კგ-ში მესამე ადგილს დასჯერდა გურამ თუშიშვილი. არადა, მისგან ოქროს მედალს ველოდით, მაგრამ თუშიმ ნახევარფინალური შეხვედრა დათმო და საბოლოოდ, ბრინჯაო აიღო. და ვარლამ ლიპარტელიანი. მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ძიუდოისტი, რომელსაც ევროპის ჩემპიონატების ათი მედალი ჰქონდეს. ლიპოს ეს აქვს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ცხრაჯერ გავიდა და მხოლოდ სამჯერ იმარჯვა. ის ამჯერადაც ფინალში დამარცხდა და თან იმდენად მოულოდნელად, რომ მისი მძლეველი, ბელგიელი თომა ნიკიფოროვი, კარგა ხანს ვერ იჯერებდა საკუთარ გამარჯვებას.

წინ მსოფლიოს ჩემპიონატი, შემდეგ კი ოლიმპიადაა. თეთრი და შავი სწორედ მსოფლიო პირველობაზე უნდა გამოჩნდეს და უდიდესი ალბათობით, ნაკრების საოლიმპიადო შემადგენლობა, სწორედ პლანეტის პირველობის დასრულების შემდეგ გამოცხადდება.

ბასილაშვილი ახალ სკანდალში გაეხვა

საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი, ნიკოლოს ბასილაშვილი ახალ სკანდალში გაეხვა. მას საქართველოს სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟში, ბიზნესმენი ირაკლი კაჭარავა უჩივის. როგორც გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კაჭარავამ, ბასილაშვილის კარიერულ წინსვლაში დიდი როლი შეასრულა, ფინანსური რესურსი გაიღო, სანაცვლოდ კი, ბასილაშვილის მიერ მოგებული ტურნირებიდან დივიდენდები უნდა მიეღო, თუმცა ჩოგბურთელმა არაფერი მისცა.

კაჭარავა ბიზნესს რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ფლობს, ხოლო პირველად ინფორმაცია რუსულ მედიაში გავრცელდა. ჩოგბურთელის მამამ კაჭარავას გამომძალველი უწოდა და განაცხადა,რომ მალე ყველაფერი გაირკვევა. შეგახსენებთ, ბასილაშვილს კიდევ ერთი სასამართლო პროცესი ყოფილ ცოლთან, ნელი დოროყაშვილთან აქვს, სადაც მთავარი სამსჯელო ქონების გაყოფა და ალიმენტის ოდენობაა.

მიქაუტაძემ „ოქროს ბუცი“ მიიღო

ბელგიის მეორე დივიზიონის „სერენში“ მოთამაშე გიორგი მიქაუტაძემ „ოქროს ბუცი“ მიიღო. ამ ჯილდოს სეზონში ყველაზე მეტი გოლის გამტან ფეხბურთელს აძლევენ, გიო კი 19 გოლით, საუკეთესოა.

უკვე ცნობილია ისიც, რომ სეზონის დასრულებისთანავე, მიქაუტაძე ფრანგულ „მეცს“ დაუბრუნდება. ის ამ კლუბის კუთვნილებაა და „სერენში“, განათხოვრების წესით თამაშობდა. „მეცი“ საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს და წელს სეზონს ცხრილის შუაგულში დაასრულებს. ტოპ-5 ჩემპიონატის გუნდში ასპარეზობა გიორგის სამომავლო კარიერას რომ წაადგება, თქმა არ უნდა.

ფლიკი „ბაიერნიდან“ მიდის

მიუნხენის „ბაიერნთან“ ერთად, ყველაფრის მომგებმა ჰანს ფლიკმა განაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, „რეკორდმაისტერს“ დატოვებს. არადა, კლუბში მისი მუშაობით კმაყოფილები არიან, მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება კიდევ სამი წლით სურთ, საერთო ჯამში, ამ სამ წელიწადში, 20 მილიონ ევროსაც უხდიან, თუმცა ფლიკი მაინც წასვლას აპირებს.

როგორც გერმანული მედია წერს, მან წინადადება გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან მიიღო და ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, რომელიც ზაფხულში ჩატარდება, სწორედ, ბუნდესნაკრებს ჩაიბარებს. „ბაიერნმა“ მისი შემცვლელის ძიება აქტიურად დაიწყო და როგორც ვარაუდობენ, გერმანიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, „ლაიფციგის“ ამჟამინდელი თავკაცი, იულიან ნაგელსმანი დაიკავებს.

ბაღათერ არაბული

* * *

შემოეხეტნენ ხევზე ნისლები
და დაამძიმა ბინდის ღრუბელმა,
ფიფქაშლილი და განრისხებული
ყინულასხმული ქარი უბერავს...
ჩამოდის თოვლი და მთა საჩალის
თანდათანობით ზეცისკენ იწევს
და მოყრანტალე ყვავი-ყვანჩალა
როგორც ფოთოლი
ჰკიდია სივრცეს...
ხეობის ბოლოს არხოტის ქედი
თითქოს ჩამდგარა ზეცის გამყოფად,
აღმართულია თოვლის კედელი
და ღრმა ხეობა მოჰგავს სარკოფაგს...
ბჟუტავს არაგვი
და კვლავ არიგებს
ირგვლივ დაწყვეტილ მუსიკის ბგერებს
და ნაპირების ბედის გამრიგე
თოვლში დალეულ ტანს მიაგელვებს...
....
შემოეხეტნენ ხევზე ნისლები,
ცა დაამძიმა ბინდის ღრუბელმა,
ფიფქაშლილი და განრისხებული
ყინულასხმული ქარი უბერავს...

* * *

ჩამოიშალა ბინდის ბულული,
ჩამოეფინა მხრებზე უღრანებს
და უღრანები ჩამობურული
მგლების ყმუილით ღამეს უღრენენ...
მივდივართ,
შორით ღელვაავსილი
მღვრიე არაგვი გვიხმობს ღულის ძირს,
ბნელში სანთლებად ელავს ასკილი
გზად გამოსული ჩვენი გულისთვის!..

იყავი ბრძენი...

იყავი ბრძენი, ჩემო ტკივილო,
და უფრო მშვიდად გეჭიროს თავი,
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო,
ან მძიმე ხვედრზე არ დაგცდეს ავი...
შენ უფრო მწარე ბედიც გექნება
და სიხარულის ჟამიც _ უცვლელი!
დღეები _ სავსე მხოლოდ ეკლებით,
დღეები _ სავსე ვარდის ფურცლებით...
ხელის მოცარვის გელის დილეგიც
და შთაგონების წამიც _ ფერადი!
დღეები _ სავსე მხოლოდ ჩრდილებით,
დღეები _ სავსე სხივთა კელაპტრით...
.....
იყავი ბრძენი, ჩემო ტკივილო,
და უფრო მშვიდად გეჭიროს თავი,
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო,
ან მძიმე ხვედრზე არ დაგცდეს ავი...

მოგზაურობა

ჩვენ ჩავუარეთ ლორთქო ბალახით
მწვანედ შეღებილ ნისლიან მინდვრებს,
სად ნისლებივით ფაფარაშლილი
და ნისლისფერი ცხენები იდგნენ...
ჩვენ ჩავუარეთ: ტანძიის ტაძრებს
და თეთრ გუმბათებს აფრენილს ცამდე,
ციხეებს ჩაშლილს და ჩამომტირალს,
იმ გარდასულის სევდიან ლანდებს...
ჩვენ ჩავუარეთ: კრძალვით და რიდით
ერის დიდების დიად ძეგლს – დიდგორს,
ისე დიდები ვიყავით მაშინ
იმ ომში დავითს ჩვენც ვახლდით თითქოს...
ჩვენ ჩავუარეთ: ყაყაჩოებით
ცეცხლწაკიდებულ მარაბდას, კრწანისს,
სად საქართველოს განუკურნელი
და საუკუნო ტკივილი ვცანით...
ვნახეთ გელათი დედამიწიდან,
როგორ ათოვდა სინათლეს, სივრცეს,
ზეცის ჩუქურთმად
ელავდნენ მთებიც
და მობიბინე ღრუბლებში იწვნენ...
ჩვენ ჩავუარეთ მძინარ აკლდამებს, –
მეომრებს დაღლილთ ცივი სამარით,
მათ საფლავზე კი ვით უკვდავება
ენთო ვარდი და იასამანი...
ელავდა მნათი და მისი თმები
ქართლის ველებზე
სიმივით თრთოდნენ
და ნამის მკრთალი სამკაულები
გულზე ებნიათ მინდვრებს და კორდებს...
ისევ დაჰქროდა ქარი მკათათვის,
ნისლებიც ისევ ეფინენ მტკვართან
და საქართველო,
როგორც ყოველთვის,
კვლავ ამოღებულ სატევარს ჰგავდა!..

ნუ გამოიყვანთ ბავშვებს ზღაპრიდან

გამომაძევეს მე ბავშვობიდან,
გადამიკეტეს კარი ურდულით,
დღეს შურით ვუმზერ სათამაშოებს,
როგორც დასჯილი და გაქურდული...
იქ დამრჩა ხმალი, ზღაპრის ქვეყნების
დევთან ბრძოლისთვის რომ მისახსოვრეს,
ახლა კი იმ დევს, ძალით თუ ნებით,
შევგუებულვარ, როგორც ახლობელს...
მისთვის ვარსებობ და მისთვის ვცხოვრობ,
მწარე ჭაპანსაც მისთვის ვეწევი;
მე ჩემი თავის ჩრდილი ვარ მხოლოდ,
ჩემი თავის და ბედის შეწევნით...
სასახლე ჩემი ქცეულა ყორედ,
ჩაჟანგულია ჩემი გუთანიც
და ცხრათავიან დევის შემყურეს
აღარაფერი მაქვს საკუთარი...
თითქოს ჩამქრალა მომავლის შუქიც,
(ვაი, სოფელო, ბინდით მოცულო!)
დევის ნებაზე ვცეკვავ და ვბუქნავ
და ღმერთთან დევის ენით ვლოცულობ...
წაშლილა ათას ფერით ნაფერი
ის დრო – დიდების მზით რომ ბრწყინავდა,
შთამომავალთან და წინაპართან
ერთხელ ხომ უნდა წარვსდგე პირნათლად...
გადარჩენის და დახსნის სიმბოლოდ,
ოცნების სხივით სავსე ნაპირთან,
ზღაპრის დევებთან მაინც იბრძოლონ,
ნუ გამოიყვანთ ბავშვებს ზღაპრიდან!..

სასტუმრო წიგნის მოყვარულებისთვის

წიგნის კითხვა ბევრ ადამიანს უყვარს, თუმცა ისეთებიც არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ დაიძინონ, თუ წიგნის ერთი-ორ გვერდს მაინც არ გადაფურცლავენ. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის გაიხსნა ტოკიოში სასტუმრო Book and Bed („წიგნი და საწოლი“). ეს იდეალური ადგილია იმისთვის, რომ საკითხავთან ჩახუტებულმა დაიძინოთ. ასეთი სასტუმროს იდეა კომპანია Suppose Design-ის დიზაინერებს ეკუთვნით. სასტუმროში ორი სახის ნომრებია – კომპაქტური, სადაც 205x85 სმ-ის ზომის განყოფილებაა საწოლით და მეორე „სტანდარტული“ – 205x129 სმ-ის. ორივე მათგანი სივრცეს წიგნის თაროებთან იყოფს. ამ უჩვეულო ოტელში ღამის გატარება 3 800-დან 6 000 იენამდე ღირს (დაახლოებით, 32-დან 50 დოლარამდე). ჯერჯერობით, სასტუმრო-ბიბლიოთეკაში მხოლოდ 1 700 წიგნია იაპონურ და ინგლისურ ენებზე, თუმცა ახლო მომავალში, მისი მესვეურები აპირებენ, ის 300 000 ეგზემპლარამდე შეავსონ.

სიჩუმე ტვინისთვის სასარგებლოა

სიჩუმეს შეუძლია ხელი შეუწყოს ტვინის ახალი უჯრედების ზრდის სტიმულაციას, გააქტიუროს მეხსიერება და რეფლექსები, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ექსპერტები, რომელთაც მუსიკისა და სხვა ხმაურის გავლენა შეისწავლეს ადამიანზე. სწავლულთა თქმით, სიჩუმეში ტვინი უფრო ადვილად ამუშავებს მონაცემებს, "ახარისხებს" მიღებულ ინფორმაციას, რაც ასტიმულირებს რეფლექსებს. ვინაიდან ადამიანის ტვინი სხვადასხვა ხმაურის მიმართ აღქმადია, მუსიკის ჩართვისა და მოსმენის შემდეგ თუ მუსიკას გამორთავთ, მელოდია მაინც თავში იტრიალებს. მიზეზი ისაა, რომ თავის ტვინის ქერქი განაგრძობს მუშაობას და მელოდიის მოსმენის ილუზია იქმნება – ასე კი მეხსიერება აქტიურდება.

სიმსივნის დამარცხებაში ბოლოკი დაგეხმარებათ

დიეტოლოგები გვირჩევენ, გაზაფხული-ზაფხულის რაციონში აუცილებლად ჩავრთოთ ბოლოკი. ცოტამ თუ იცის, რომ ის სუპერპროდუქტის წოდებას იმსახურებს. ბოლოკი ყველაზე უფრო ნოყიერი ზაფხულშია, თუმცა მასში ძალიან ცოტა კალორიებია. ეს ბოსტნეული დაგეხმარებათ ხველების დროს, რაც გაციებას ახლავს თან. გარდა ამისა, ბოლოკი ააქტიურებს იმუნიტეტს. ფიტოქიმიური ნაერთები, რომელსაც ბოლოკი შეიცავს, ანტისიმსივნური თვისებებით გამოირჩევიან. ამ პროდუქტში ბევრი C-ვიტამინი და ის ნივთიერებებია, მათ შორის კალიუმიც, რომლებიც წნევას აქვეითებენ. იმის გამო, რომ ბოლოკი უჯრედისის დიდი შემცველობითაც გამოირჩევა, ის შეუცვლელი პროდუქტია დიაბეტიანებისა და გართულებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მქონე ადამიანებისთვის. სხვათა შორის, ბოლოკი კოსმეტიკურ საშუალებადაც შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი წვრილად დაჭრილს ან გახეხილს სახეზე ნიღბად დავიდებთ. ასეთი ნიღაბი, C-ვიტამინის წყალობით, კანს აახალგაზრდავებს და ელასტიურს ხდის.

ეკო-სიგარეტი შექმნეს

სამხრეთ აფრიკულმა კომპანია Smokey Treats-მა, მსოფლიოში პირველი, ბიოდეგრადირებადი ეკო-სიგარეტის შექმნის შესახებ განაცხადა. ის ისევე მავნეა ჯანმრთელობისთვის, როგორც ჩვეულებრივი, მაგრამ სრულიად უსაფრთხოა პლანეტისთვის. სიგარეტის ნამწვი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარჩენია დედამიწაზე. მისი ფილტრი შეიცავს პლასტიკს და სხვა მასალას, რომელიც აფერხებს მათ ხრწნას და აბინძურებს გარემოს. ეკო-სიგარეტის ფილტრები კი ხის მასალისგანაა დამზადებული. კომპანიის წარმომადგნელები ამტკიცებენ, რომ ასეთი ეკო-სიგარეტის გადაგდებული ნამწვისგან კვალიც აღარ რჩება. ახალ სიგარეტებში არც თამბაქო შეიცავს არანაირ დანამატს, კოლოფზე წარწერაც კი ეკოლოგიურია – მელანი სოიოსგანაა დამზადებული.

ჩანთა თვითმფრინავის ფასად?

Louis Vuitton-ის ხელჩანთა, რომელსაც თვითმფრინავის ფორმა აქვს, ბრენდის მამაკაცის ხაზის მხატვრულმა ხელმძღვანელმა, ვირჯილო აბლომ შექმნა და წლის დასაწყისში წარადგინა. მისი პოპულარობა კი ფასმა განაპირობა – ამბობენ, რომ ხელჩანთა ერთმოტორიან თვითმფრინავზე ძვირია. იანვარში წარმოდგენილი Louis Vuitton-ის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია უამრავი განუმეორებელი იდეით გამოირჩეოდა, მათ შორის ტანსაცმელიც, რომელიც ცნობილი არქიტექტურითა და პოპულარული ღირსშესანიშნაობით იყო შთაგონებული. თუმცა, საბოლოოდ, ყველაზე მეტი ყურადღება მაინც თვითმფრინავის ფორმის ხელჩანთამ მიიპყრო, რომელსაც საკულტო მონოგრამა LV და პიკანტური ფასი – 39 000 დოლარი ადევს. ეს უჩვეულო აქსესუარი მინიატურულ კომერციულ ავიალაინერს ჰგავს – ფრთებითა და ოთხი ძრავით. ჩანთის ფოტოებმა მთელი ინტერნეტი მოიარა და ვირუსული გახდა მას შემდეგ, რაც "ტვიტერში" ერთმა მომხმარებელმა დააკომენტარა: ნამდვილი თვითმფრინავის ყიდვა უფრო იაფად შეგიძლიათ – Cessna-ს ერთმოტორიანი eBay-ზე 32 300 დოლარი ღირს.

ხორცპროდუქტები კიბოს პროვოცირებას იწვევს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პლანეტის მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ლორის, ძეხვეულისა და ხორცის სხვა დამუშავებული პროდუქტების მოხმარება, სიმსივნის პროვოცირების თვალსაზრისით, ისეთივე საშიშია, როგორც თამბაქო. თავის მხრივ, ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კვირაში მხოლოდ ოთხი პორცია ხორცის ნაწარმის მიღება 40%-ით ზრდის კიბოს განვითარების რისკს. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ხორცში არსებული ნაერთები აზიანებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის უჯრედების დნმ-ს, რის შედეგადაც სიმსივნე ვითარდება. გარდა ამისა, დამუშავებული პროდუქტები სხვა მხრივაც საშიშია. დამუშავების პროცესში ცდილობენ, მათი შენახვის ვადა მაქსიმალურად გაზარდონ. ამისთვის პროდუქტს ბოლავენ, უმატებენ მარილს, ნიტრატებისა და ნიტრიტების მსგავს ქიმიურ კონსერვანტებს. ზოგიერთი ექსპერტი კი სიმსივნური დაავადებების მომატებულ რისკს, სწორედ ხორცპროდუქტებში არსებულ დანამატებს უკავშირებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ახალ ხორცს ნაკლებად საშიშ პოზიციას ანიჭებს და მას "შესაძლო კანცეროგენის" სტატუსს ანიჭებს. თუმცა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ ხორცი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, რადგან მასში ბევრი ცილა, რკინა, "ბე-12" ვიტამინია, რომელიც აუცილებელია ჩვენი ორგანიზმისთვის.

ყველაზე ძვირადღირებულ სუნამოს ჰყიდიან

პარფიუმერულმა ბრენდმა Nabeel, დუბაიში, გასაყიდად გამოიტანა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სუნამო. მარტო ფლაკონის სიმაღლე ორ მეტრს შეადგენს და მასში სამი ლიტრი სითხე ეტევა. უზარმაზარი ზომების ეს არომატული სითხე, დაახლოებით, 1.3 მილიონ დოლარადაა შეფასებული. მურანოს შუშისგან დამზადებული ბოთლი, რამდენიმე ათასი ბრილიანტითაა შემკული, რომელთა საერთო წონა 38.55 კარატს აღწევს. ბრილიანტის გარდა, სუნამოს სხვა ძვირფასი ქვები – ტოპაზები და მარგალიტები ამშვენებენ. უჩვეულოდ დიდი ზომის ფლაკონიდან არომატის შესხურება დისტანციური მართვის ტექნოლოგიის დახმარებითაა შესაძლებელი. ცნობილია, რომ ავტორები ამ სუნამოს სამი წლის განმავლობაში ქმნიდნენ.

„მძინარე მზეთუნახავი“ ინდონეზიიდან

17 წლის გოგონა ეჩა, რომელიც სამხრეთ კალიმანტანზე ცხოვრობს, ახალ ამბებში პირველად, ოთხი წლის წინ მოხვდა. მაშინ ადგილობრივმა მედიამ მის 13-დღიან ძილზე დაწერა. მას შემდეგ გოგონას კიდევ ორი ასეთი საშიში ეპიზოდი ჰქონდა ხანგრძლივი ძილით. ახლა კი, ერთი კვირის წინ, მისი მდგომარეობა კვლავ გართულდა და ეჩა ღრმა ძილს მიეცა, რაც მთელი ცხრა დღე გაგრძელდა. მშობლებმა ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი ანალიზები წესრიგში იყო. მედიკოსების თქმით, გოგონას სიმპტომები ჰიპერსომნიაზე მიანიშნებს, რაც ძალიან იშვიათი ნევროლოგიური დაავადებაა. "მძინარე მზეთუნახავის" სინდრომის მკურნალობა, ჯერჯერობით, შეუძლებელია. ეჩას მშობლები იმედოვნებენ, რომ სიმპტომებთან გამკლავებას შეძლებენ, რათა გოგონას ნორმალური ცხოვრება ჰქონდეს.

ტურისტებს 200 ევროს გადაუხდიან

ევროპის პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოს, მალტას მთავრობას განხრაზული აქვს, ქვეყანაში ჩასულ უცხოელ ტურისტებს 200 ევრო გადაუხადოს, თუკი იქ, სამ დღეზე ნაკლებს არ გაჩერდებიან. თანხის მისაღებად საჭირო იქნება ნომრის დაჯავშნა თქვენთვის სასურველ, ადგილობრივ სასტუმროში. ასე მაგალითად, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს სტუმრებს სახელმწიფო 100 ევროს გადაუხდის, ამდენივეს კი ადმინისტრაცია დაუმატებს. 4-ვარსკვლავიანში გაჩერების მსურველები 150 ევროს მიიღებენ, სამვარსკვლავიანში – 100 ევროს. მალტას ტურიზმის სააგენტოში იმედოვნებენ, რომ პანდემიის გამო შემოღებული საკარანტინო შეზღუდვების უმრავლესობა ზაფხულის დასაწყისში მოიხსნება. აღსანიშნავია, რომ მალტას ეკონომიკაში, ტურიზმის წილი 27%-ია.

რეკლამისთვის ქუჩის ძაღლებს იყენებენ

ინდოეთში, უტარ-პრადეშის შტატში, არჩევნებისთვის, მოძრავ სარეკლამო ფარებად, პოლიტიკოსებმა უპატრონო ძაღლების გამოყენება დაიწყეს. კანდიდატები ვარაუდობენ, რომ მათ წინასაარჩევნო გზავნილებს, ამ მეთოდით, გაცილებით მეტი ადამიანი გაეცნობა. ორი კანდიდატის სააგიტაციო პლაკატებმიკრული ცხოველები ქუჩებში უკვე დასეირნობენ და ადგილობრივების ფოტო-ობიექტივებშიც მოხვდნენ. ამ მოძრავი სარეკლამო ბანერების ფოტოები ვირუსულად გავრცელდა სოციალურ ქსელშიც. ამგვარ სარეკლამო ტაქტიკაზე უარყოფითი გამოხმაურებების მიუხედავად, ერთ-ერთი კანდიდატი ამბობს, რომ ამ მეთოდის გამოყენებას არ ნანობს. ამ ფაქტს ცხოველთა დამცველი აქტივისტებიც გამოეხმაურნენ და აცხადებენ, რომ ძაღლების გამოყენება საარჩევნო აგიტაციის მიზნით, სამართალდარღვევაა და შესაბამისად, დასჯადი უნდა იყოს.

კიბო გადამდებია?!

კანადის პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის სწავლულების განცხადებით, შესაძლოა, კიბო გადამდები იყოს. მათი თქმით, რამდენიმე არაინფექციური დაავადება, მაგალითად, სიმსივნე, ჭარბწონიანობა, გულსისხლძაღვთა დაავადებები და დიაბეტი, შესაძლოა, ადამიანიდან ადამიანზე გადადიოდეს. ამ ჰიპოთეზას მკვლევარები მიკრობიომის გადაცემის შესაძლებლობით ხსნიან. მიკრობიომი ტრილიონობით მიკროორგანიზმის ერთობლიობაა. მასში შედის არა მხოლოდ ბაქტერიები, არამედ, სოკოვანი ინფექციები და ვირუსებიც კი. სწავლულთა ვარაუდით, ორი ადამიანის კონტაქტის, ან ერთ სივრცეში ყოფნისას, შესაძლოა, მიკრობიომი ერთი მათგანიდან მეორეზე გადავიდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და კიბოს არაინფექციურ დაავადებებად მიიჩნევს.

პოლიტიკოსებმა „დაორსულება“ გადაწყვიტეს

იაპონელი დეპუტატი მამაკაცები, ორი დღის განმავლობაში, სპეციალურ ჟილეტებს ატარებდნენ, რომლებზეც ხელოვნური მკერდი და მუცელი იყო მიმაგრებული. ეს ერთგვარი ექსპერიმენტი იყო, რომლის მიზანიც ორსული ქალების პრობლემების გათვითცნობიერება გახლდათ. მმართველი პარტიის სამმა დეპუტატმა, ჟილეტები, რომელთა წონაც 7.3 კილოგრამია, ექსპერიმენტისას მხოლოდ ერთხელ, პლენარული სხდმის დროს მოიხსნეს. პოლიტიკოსების თქმით, მუცელი მათ დისკომფორტს უქმნიდა. ადგომა, დაჯდომა, უკან გახედვა და სხვა ჩვეულო მოძრაობები კი ტანჯვის ტოლფასი იყო, – აღნიშნეს მათ, – ასევე, ძალიან რთული იყო ყოველდღიური საქმეების კეთება, აბაზანის გაწმენდა და ფრჩხილების დაჭრა. დეპუტატების თქმით, ეს ექსპერიმენტი კანონმდებლებს სამუშაო ადგილზე ორსულების დისკრიმინაციის პრობლემის გაგებაში დაეხმარებათ.

მავნე ჩვევაზე უარი სიცოცხლეს 28 წლით ახანგრძლივებს

ამერიკელმა სწავლულებმა კაროლინას უნივერსიტეტიდან, მასშტაბური კვლევა ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ შეიძლება გაიხანგრძლივოს ადამიანმა სიცოცხლე. სპეციალისტებმა გააანალიზეს დანიის, ფინეთისა და შვედეთის მოქალქეების სიცოცხლის ხანგრძლივობა. 20-წლიანი დაკვირვების პერიოდში, ყველანაირი დაავადებებისგან სიკვდილიანობა გაცილებით მაღალი იყო ალკოჰოლის მოყვარულთა ჯგუფში. აღმოჩნდა, რომ სასმელის მოყვარულებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 28 წლით მცირდებოდა. მედიკოსები გვაფრთხილებენ – ალკოჰოლი ნეგატიურ გავლენას ახდენს ტვინის, გულისა და ღვიძლის მუშაობაზე. სპირტიანი სასმელების რეგულარული მიღება კი ზრდის სხვადასხვა სახის სიმსივნის განვითარების რისკს. ალკოჰოლიზმი ჭკუასუსტობის, იმპოტენციისა და უნაყოფობის მიზეზადაც ითვლება.

ნიადაგს ტრუსებით შეამოწმებენ

შვეიცარიელმა ფერმერებმა ქვეყანაში გრუნტის ხარისხის შემოწმების ორიგინალური მეთოდი მოიფიქრეს. ექსპერიმენტის სახით, რომელსაც Agroscope-ის ინსტიტუტი ატარებს, მიწაში ჩაფლავენ 2 ათას ცალ ტრუსს. ამ უჩვეულო ცდაში 1 000 მოხალისე ფერმერი მონაწილეობს – ისინი საკუთარ მიწებზე, საცვლებს ჩაის პაკეტებთან ერთად "დამარხავენ". ტრუსების ნაწილს ერთი თვის განმავლობაში ამოიღებენ, ნაწილს კი – ორი თვის შემდეგ, სპეციალისტები კი საცვლებზე დაზიანებებს შეისწავლიან. მკვლევართა თქმით, რაც მეტი ნახვრეტი იქნება ქსოვილზე, მით უფრო ხარისხიანი იქნება ნიადაგი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ექსპერიმენტები უკვე ჩაატარეს კანადელებმაც.

კაბინები დისტანციური მუშაობისთვის

სინგაპურში მდებარე კომპანია Switch-მა, დისტანციური მუშაობისთვის სპეციალური კაბინები შექმნა, რომლებიც სავაჭრო ცენტრებშია განთავსებული. ინდივიდუალური კაბინები აღჭურვილია ყველა საჭირო ატრიბუტით – მაგიდა, სკამი, განათება, ვენტილაცია, ინტერნეტი. ეს კაბინები განკუთვნილია, როგორც ერთი ადამიანისთვის, ასევე, ორისთვისაც. ამ სიახლით სარგებლობის მსურველები სპეციალურ აპლიკაციაზე უნდა დარეგისტრირდნენ და თანხა გადაიხადონ. კაბინაში ერთსაათიანი მუშაობა სამი დოლარი ღირს. ექსპერტები ვარაუდოებენ, რომ ნოუ-ჰაუ პოპულარული გახდება, რადგან მეტად გაიზარდა მოთხოვნა იაფ, კერძო სამუშაო ფართებზე. კომპანიამ ქალაქში 60 ახალი კაბინა უკვე დადგა. ისინი საკმაოდ დიდ კონკურენციას გაუწევენ კაფეებს, სადაც უფასო ინტერნეტი კი არის, მაგრამ ხმაურია და არასასურველი კონტაქტების დიდი რისკიცაა. სხვათა შორის, კაბინაში მუშაობის დროს, პირბადის გამოყენება აუცილებელია.

წაგებული გუნდი კოლმეურნეობაში ამუშავეს

ბელორუსში, ბრესტის საფეხბურთო კლუბ „რუხას“ სპორტული დირექტორი, პრისიაჟნიუკი აცხადებს, რომ მისი გუნდი, ქვეყნის ჩემპიონატის ახალ სეზონზე მატჩების წარუმატებელი სერიის შემდეგ, ერთ-ერთ კოლმეურნეობაში გაემგზავრა სამუშაოდ. მართალია, იქ ცოტა ვიმუშავეთ, მაგრამ სამაგიეროდ, სუფთა ჰაერი ჩავყლაპეთ, რაც ერთგვარი ტიმბილდინგი იყო. სხვათა შორის, ეს გადაწყვეტილება ყელა ფეხბურთელმა მოიწონა. „ზოგი ტაძარში მიდის, სანთლებს ანთებს, ჩვენ კი კოლმეურნეობაში წამუშავება ვარჩიეთ“, – აცხადებს პროსიაჟნიუკი. მისი თქმით, წინააღმდეგი არც გუნდის ლეგიონერები იყვნენ. „თუკი ახლა მოვიგებთ, ესე იგი, კოლმეურნეობაში მუშაობა სასიკეთოდ წაგვადგა“, – ამბობს სპორტული დირექტორი. ცნობილია, რომ „რუხმა“, კოლექტიური შრომის შემდეგ, ერთი მატჩი მინიმალური ანგარიშით მოიგო.

გაკვეთილებს პლაჟზე ატარებენ

ესპანეთის რეგიონ მურსიაში მდებარე ერთ-ერთი სკოლა, ერთწლიანი დისტანციური სწავლის შემდეგ, გაკვეთილებს ღია ცის ქვეშ, პლაჟზე ატარებს. ასე უსაფრთხოცაა და ბავშვებიც ძალიან ხარობენ. ის, რასაც აქ ისწავლიან, არასდროს დაავიწყდებათ, – აცხადებენ სკოლის მასწავლებლები. ბავშვები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მოწყობილ საკლასო ოთახში ფეხშიშველები სხედან და თან ფეხით ქვიშაში თამაშობენ. ეს გაკვეთილები დიდი პროექტის ნაწილია, რომელსაც Fresh Air ჰქვია და რომელიც კოვიდპანდემიის დროს, ბავშვებისთვის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. პლაჟზე სწავლების პერიოდში, სკოლაში კორონავირუსით დაინფიცირების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ბოსტნეულის ნაყინი პოპულარული ხდება

უკვე დიდი ხანია, რაც მთელ მსოფლიოში, ნაყინის მაღაზიები, ამ პროდუქტის მოყვარულებს, ტრადიციული ვანილისა და მარწყვის გარდა, გამაგრილებელი დესერტის ფართო ასორტიმენტს სთავაზობენ. თუმცა გერმანიაში, ბოლო დროს, არნახული პოპულარობით სარგებლობს ეს ცივი დესერტი ბოსტნეულის გემოთი, რომელიც ადგილობრივ დაწესებულებებში უკვე ყველგან იყიდება. აქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ ჭარხლის, კიტრის, პიტნის ნაყინი. ნაყინის საერთაშორისო ბაზრობის Gelatissimo-ს ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მომავალში, ბოსტნეულისგან დამზადებული ეს გემრიელობა უფრო პოპულარული გახდება, რადგან ადამიანები სულ უფრო მეტად ცდილობენ, ჯანსაღად იკვებონ, ბოსტნეული კი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. მიმდინარე ზაფხულიდან, მსურველებს შეეძლებათ, დააგემოვნონ ნაყინი ისპანახისგან, სტაფილოს ან ყაბაყისგან, რომელსაც მწვანილსა და სანელებლებსაც დაუმატებენ.

იესოს ახალ ქანდაკებას ააგებენ

იესო ქრისტეს ახალი ქანდაკება, რომელსაც ბრაზილიის ქალაქ ენკანტანდოში დგამენ, სიმაღლით უფრო დიდი იქნება, ვიდრე მაცხოვრის ცნობილი ქანდაკება რიო-დე-ჟანეიროში. BBC News-ის ინფორმაციით, "ახალი იესოს" სიმაღლე, კვარცხლბეკთან ერთად, 43 მეტრი იქნება. ამ მაჩვენებლით, ის მსოფლიოში, მაცხოვრის მესამე ქანდაკება იქნება და მხოლოდ ინდონეზიის (52.55 მ) და პოლონეთის (52.50 მ) სკულპტურებს ჩამორჩება. 40 მეტრის სიმაღლეზე, ქანდაკებაში დასათვალიერებელ მოედანს გააკეთებენ, სადაც მნახველები ლიფტის საშუალებით მოხვდებიან. მშენებლობა ენკანტანდოში 2019 წელს დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ქანდაკების დადგმა კერძო პირებისა და კომპანიების შემოწირულობებით გახდა შესაძლებელი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

შს მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე და აშშ-ის ელჩი საქართველოში, სექსუალური ძალადობის გამოძიების ტრენინგის დახურვის ცერემონიას დაესწრნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით, სექსუალური ძალადობის გამოძიების შესახებ, ერთკვირიანი სასწავლო კურსი გაიმართა.

ტრენინგის განმავლობაში მსმენელებმა ინფორმაცია მიიღეს სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიების საკითხებზე, დაზარალებულის გამოკითხვის, გამოძიების პროცესში მტკიცებულებების შეგროვებისა და დამუშავების პროცესზე, ასევე, გამოძიების დროს სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაციის თაობაზე და ა.შ.,

სასწავლო კურსის დახურვას, აშშ-ის ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე დაესწრნენ და მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

აშშ-ის ელჩმა, სექსუალური ძალადობის გამოძიების მნიშვნელობასა და ამ კუთხით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე ისაუბრა. შს მინისტრის მოადგილემ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL), წლების განმავლობაში არსებული მჭიდრო თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციას მაღალი გამავლობის ავტომანქანები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კოორდინაციითა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, მაღალი გამავლობის 30 ავტომანქანა გადაეცა.

სატრანსპორტო საშუალებების გადაცემის ღონისძიება, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის – „წითელი ხიდის“ სამმართველოს ბაზაზე გაიმართა, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და სასაზღვრო პოლიციის უფროსმა პოლკოვნიკმა, ნიკოლოზ შარაძემ ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოში, კარლ ჰარცელს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელს, სანია ჩელებიჩ ლუკოვაცს უმასპინძლეს.

3.3 მილიონ ლარზე მეტის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები, საზღვარზე დანაშაულის პრევენციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, ასევე, ხელს შეუწყობს სასაზღვრო ინციდენტებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას.

ღონისძიების ფარგლებში, ევროკავშირისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სასაზღვრო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და მიიღეს ინფორმაცია ელექტრონული დაკვირვების სისტემის მუშაობის შესახებ. დელეგაციის წევრები, ასევე, ეწვივნენ წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტს და ადგილზე გაეცნენ მგზავრთა ნაკადის მართვისა და შემოწმების პროცედურებს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, სატრანსპორტო საშუალებების განახლება, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, პროექტის – „ევროკავშირი უსაფრთხოებისათვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE) საზღვრის ინტეგრირებული მართვის“ – ფარგლებში განახორციელა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში, სასაზღვრო პოლიციას მაღალი გამავლობის 40 ავტომანქანა და საკომუნიკაციო საშუალებები გადაეცა.

ევროკავშირი აქტიურად განაგრძობს საქართველოში საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროცესის მხარდაჭერას, რაც საზღვრის მართვის სისტემების შემდგომ განვითარებასა და მოდერნიზებას გულისხმობს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, სასაზღვრო პოლიციასთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის დაფინანსებით, მომავალშიც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გეგმავს, მათ შორის, სასაზღვრო სექტორების დასაცავ მონაკვეთებზე, ელექტრონული დაკვირვების სისტემების მოწყობასა და სანაპირო დაცვისათვის სწრაფი რეაგირების 4 საპატრულო კატარღის გადაცემას.